



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი  
აღარი  
№3 (426)  
(5777)  
2017

“מנורה”  
עיתון יהודי  
בגורגיה

### მოგილოცავთ ებრაელთა გადაჩენის დღეს - ფურიმს!



#### ברכות לפני קריאת המגילה

ברוך אתה ה' אלהינו מלך העולם, אשר קדשנו במצותיו, וצונו על מקרא מגילה.  
ברוך אתה ה' אלהינו מלך העולם, שעשה נסים לאבותינו, בימים ההם בזמן הזה.  
ברוך אתה ה' אלהינו מלך העולם, שהחיינו והקיימנו והגיענו לזמן הזה.

# ქართულ-ებრაული მემკვიდრეობის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი

ნიკო ჯავახიშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორია სათავეს საუკუნეთა სიღრმე-დან იღებს. მას შემდეგ, რაც ებრაელები საქართველოს მიწაზე დაემკვიდრნენ, 26 საუკუნე გაივლიდა.

ებრაელები საქართველოში გად-მოსახლების შესახებ პირველი საის-ტორიო ცნობა შემოგვინახა ლეონტი მროველმა, რომელიც თავის თხზულებ-აში "ცხოვრება ქართველთა მეფეთა" მიუთითებდა: "მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოიტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყ-აროსა, რომელსა ჰქვან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, ან ჰქვან ხერკ ხარკისა მისთჳს" [ლე-ონტი მროველი 1955: 15-16].

ქართველი და ებრაელი ერების ხანგრძლივი და მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ საკმაოდ ბევრია ცნობილი. ამ მხრივ განსა-კუთრებით აღსანიშნავია პროფესორ ელდარ მამისთვალის შიშის სოლი-დური ნაშრომი "ქართველ ებრაელთა ისტორია" [მამისთვალის შიში 1995].

ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკა-ვია II მსოფლიო ომის პერიოდს. მაშინ, როდესაც ემიგრაციაში გახიზნული ქა-რთველობა თავდაცვ დიდ გაჭირვებას განიცდიდა, მისმა ზოგიერთმა წარ-მომადგენელმა, თავდადებული მოქ-მეებით, დაღუპვას გადაარჩინა არა მხოლოდ ქართველი ებრაელები, არ-ამედ ისინიც, ვინც წარმოშობით საქა-რთველოდან არ ყოფილა.

II მსოფლიო ომის დაწყებას ქარ-თული ემიგრაცია არაერთგვაროვნად შეხვდა. მისმა მნიშვნელოვანმა ნაწილ-მა, რომელთა შორისაც ძირითადად სოციალ-დემოკრატიები იყვნენ, გერ-მანიას უნდობლობა გამოუცხადა. ისი-ნი თავიანთ მოკავშირედ დიდ ბრიტა-ნეთსა და საფრანგეთს მიიჩნევდნენ.

ქართველ ემიგრანტთა რადიკალუ-რად განწყობილი ნაწილი, რომელიც მოქმედებდა პრინციპით "ჩემი მტრის მტერი — ჩემი მეგობარია", თვლიდა, რომ II მსოფლიო ომში გამარჯვებული გერმანია ისევე დაეხმარებოდა საქა-რთველოს დამოუკიდებლობის აღდ-გენაში, როგორც ეს I მსოფლიო ომის დროს მოხდა [ჯავახიშვილი 1998: 26-29].

აქვე უნდა ითქვას, რომ იმდროინ-დელი ვითარების (ნაცისტთა ქედმაღ-ლური დამოკიდებულება სხვა ერთა მიმართ, "არიული რასის" მსოფლიოს ხალხებზე გაბატონების მცდელობა და სხვ.) გათვალისწინებით, სამწუხაროდ, ასეთი იმედი რეალობასთან საკმაოდ შორს იყო [ჯავახიშვილი 1997: 20].

ზემოთქმულის მიუხედავად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადოლფ ჰიტ-ლერისა და მისი უახლოესი თანამზ-რახველების შეხედულებებს სხვა ერების მომავალთან დაკავშირებით, გერმანიის იმდროინდელ მესვეურთა შორის ყველა როდი იზიარებდა. მათი გარკვეული ნაწილი თვლიდა, რომ სსრ კავშირის განადგურების შემდეგ, მასში იძულებით გაერთიანებული რესპუბ-ლიკების ნაწილი დამოუკიდებლობას იმსახურებდა.

გერმანელებთან მოთანამშრომლე ქართველების შესახებ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს შემთხვეული

ლიტერატურა, რომლის ავტორები არიან: შალვა მალაქელიძე [მალაქე-ლიძე 1994], გივი გაბლიანი [გაბლიანი 1998-2000], მიხეილ ქავთარაძე [ქავთა-რაძე 2007], ალექსანდრე ცომბია [ცო-მბია 2000], ასევე ნაშრომები ნოდარ კიკვაძის [კიკვაძე 1993], გიორგი მამუ-ლიას [Мамулия 2003], გელა სულაძის [სულაძე 2010], რუსუდან დაუშვილის [დაუშვილი 2000], ნიკო ჯავახიშვილის [Джавахишвили 2005] და სხვა მკვლევ-ართა ავტორებით.

იმ ქართველთა საქმიანობის შეს-ახებ, რომლებიც II მსოფლიო ომში გერმანელთა მხარდამხარ იბრძოდნენ, აზრთა სხვადასხვაობა დღემდე არსე-ბობს. ზოგნი მათ საქციელს მართე-ბულად, ხოლო ზოგნი — გაუმართლე-ბლად თვლიან, თუმცა ფაქტი ერთია — იმ პერიოდში გერმანია იყო ის ერთად-ერთი ძალა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დამასამარებელი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა და ქართველთა (ძირითადად პოლიტიკურ ემიგრანტთა) გარკვეული ნაწილის მიერ გერმანიის მოკავშირედ დასახვა სწორედ ამით უნდა აიხსნას.


აღნიშნული მოვლენა ასეა ახს-ნილი ემიგრანტ მიხეილ ქავთარაძის (1906-2008) მოგონებებში, რომელშიც ვკითხულობთ: „გერმანია დაეჯახა იმ ძალას, რომლის ნაქცევაც აუცილე-ბელი წინასწარი პირობა იყო ჩვენი თავისუფლებისათვის. იყვნენ ემი-გრანტები, რომელთაც ოცი წელიწადი თითქოს სამშობლოს თავისუფლები-სათვის ბრძოლას შესწირეს. ამ ოცი წლის განმავლობაში ვერცერთი ნამდ-ვილი მოკავშირე ვერ იპოვეს და როდე-საც იმ ქვეყანამ, რომელიც სინამდ-ვილემი ერთადერთი შესაძლებელი მოკავშირე იყო ჩვენითვის... რუსეთს შეუტია, ზემოხსენებული ქართველები შეძრწუნდნენ და ეს მოვლენა ჩვენთვის უარყოფით საქმედ ჩათვალეს. მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელ გერმანიას გა-ნაგებდა არასიმპათიური რეჟიმი და ამავე დროს, ეს გერმანია, რუსეთის გარდა, ჩვენთვის სიმპათიურ დე-მოკრატიულ ქვეყნებსაც ეომებოდა“ [ქავთარაძე 2007: 111-112].

ემიგრანტი გივი გაბლიანი (1914-2001) მიუთითებდა, რომ გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლი ქართველები "იმედოვნებდნენ, საჭიროების შემ-თხვევაში გერმანელებზე სასიკეთო ზეგავლენა მოეხდინათ. იმ ხანებ-ში გავრცელებული აზრის მიხედ-ვით, გერმანია კავკასიის მიმართ I მსოფლიო ომის დროინდელ პოლიტი-კას გაატარებდა... დამოუკიდებლობის იმედი კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც გერმანელებმა II მსოფლიო ომის დროს დაიკავეს ჩრდილო კავკა-სია. აქ გერმანია განსხვავებულ პოლი-ტიკას ატარებდა, ვიდრე მის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ ტერიტო-რიებზე, სადაც მკვიდრი მოსახლეობა პიტლერის ანტიკომუნური კანონების გამო საშინელ ტანჯვას განიცდიდა“ [გაბლიანი 1998: 9].

დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზ-ვერვის ოფიცერმა მერაბ კვიციანი-ვილიამ (1902-1991), რომელიც თან ახლდა თეირანის კონფერენციაზე (1943) ჩასულ ბრიტანულ სამთავრობო დელეგაციას, იმ პერიოდში მისთვის დასმულ ოფიციალურ შეკითხვას, თუ რატომ იბრძვის ქართველთა გარკვეუ-ლი ნაწილი გერმანელთა მხარდამხარ,

შემდეგი პასუხი გასცა:

— "სრულიად მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართველები, რომლე-ბიც ახლა გერმანიის ჯარში იბრძვიან, იმიტომ სჩადიან ამას, რომ ისინი შეგ-ნებულად გერმანული ან ნაცისტური ორიენტაციისანი არიან. არა, მათ პირველ ყოვლისა ანტირუსული და ან-ტისაბჭოთა განწყობა ამოძრავებდათ და ირჩიეს ებრძოლათ მათთვის, ვინც კი დაეხმარებოდა მათ დამოუკიდე-ბელი სახელმწიფოს აღდგენაში. თუმ-ცა, მათ სჯეროდათ, რომ გერმანია დაამარცხებდა და დაშლიდა რუსეთს, მაგრამ ისიც სჯეროდათ, რომ საბ-



მიხეილ კვავაძე

ოლოდ თვით გერმანიაც დამარცხე-ბული იქნებოდა დასავლეთის მოკავ-შირეების მიერ და ამიტომ, თუკი მათ თავიანთი ნაციონალური უფლებები-სა და დამოუკიდებლობის გარანტია მიეცემოდათ, ისინი მოისურვებდნენ მოკავშირეებთან ერთად მშრომლად“ [კვიციანი 1991: 28].

გერმანიის შეიარაღებული ძა-ლების შემადგენლობაში ჯერ კიდევ 1941 წლის მინურულს ჩამოყალიბდა ემიგრანტთაგან დაკომპლექტებული მცირე კავკასიური შენაერთები. მათ შორის იყო განსაკუთრებული დან-იშნულების კავკასიური შენაერთი — "ბერგმანი" (მთიელი) და ქართული ქვედანაყოფები: "თამარ I" და "თამარ II".

უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გერმანიის ტყვეთა ბანაკებში თავ-მოყრილ ათეულ ათასობით ქართველ სამხედრო ტყვეთა (სსრკ-ის ყოფილი მოსამსახურეთა) ფიზიკურად გა-დარჩენა, რაც გერმანიის სამსახურში მდგარმა ქართველმა ემიგრანტებმა გერმანელ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა აქტიური დახმარებით მოახერხეს.

1942 წლის თებერვალში დაიწყო კა-ვკასიური ლეგიონების ფორმირება. მასში გაერთიანდნენ როგორც ემი-გრანტები, ასევე სამხედრო ტყვეები. კერძოდ, ჩამოყალიბებულ იქნა 13 აზერბაიჯანული, 12 სომხური, 12 ქა-რთული და 8 ჩრდილოკავკასიური ბატალიონი. საერთო ჯამში, გერმანიის შეიარაღებულ ძალებში მომსახურე კა-ვკასიელთა რიცხვი 100.000 ადამიანს აღემატებოდა [Джавахишвили 2005: 102-105].

გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლ ქართველთა მიზანი დამაჯერებლად იყო განსაზღვრული ნიგნში "ჩვენი ბრძოლის მიზანი", რომელიც ომის პერიოდში ბერლინში გამოიცა. მასში ვკითხულობთ: „გარეშე ძალის დაუხ-მარებლად, ჩვენი საკუთარი ძა-ლებით შეუძლებელი გახდა რუსეთის განდევნა კავკასიიდან. საჭირო იყო საქართველოს გასწვრივ და მდებარე მოკავშირე და დამხმარე. ასეთ მოკა-ვშირედ ოცი წლის ტანჯვის შემდეგ მოგვევლინა გერმანია. 1941 წელს გერმანიასა და რუსეთს შორის ომი დაიწყო. რუსეთის დამარცხება მისი კავკასიიდან განდევნას და, მასასა-დამე, საქართველოს თავისუფლების აღდგენას ნიშნავს. ამან თითოეული ქართველის გული იმედებით აავსო და საქართველოს თავისუფლები-სათვის მებრძოლი, ევროპაში გადახ-ვენილი ქართველობა ერთი კაცივით გერმანიის მთავრობისა და სარდლო-ბის განკარგულებაში დგება...“

თავისუფალი საქართველო — ევ-როპიელ ერთა ოჯახში! ეს იყო იდეა-ლი ყველა ქართველისა. ამ იდეალის გასანაღებლად იბრძოდა საქარ-თველო მთელი საუკუნეები. ამავე მიზნით ვიბრძვით ჩვენ დღეს და გვაქვს სრული რწმენა, რომ განვახ-ორციელებთ ჩვენს სახელოვან მამა-პაპათა ანდერძს“ [საქართველოს პოლიტიკური ცენტრი 1943: 3-4].

გერმანიაში მოღვაწე ქართველ ემი-გრანტთა შორის იყვნენ პიროვნებები, რომლებიც ამ ქვეყნის მესვეურთა ნდობით სარგებლობდნენ. მათ შორის სერიოზული პოლიტიკური გავლენითა და მაღალი ავტორიტეტით გამოირჩე-ოდნენ:

1. აღმოსავლეთის (ანუ "ვანზეეს") სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დოქტორი მიხ-ეილ ახმეტელი (1895-1963). იგი იყო გერმანიაში საქართველოს დემოკრა-ტიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ვლადიმერ (ლადო) ახმეტელის ძმისწული. 1924 წელს მან იენის უნივერსიტეტში დაი-ცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ამიერკავკასიის ეკონომიკური მნიშ-ვნელობა". ითვლება სოვეტოლოგიის გერმანული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ზოგჯერ წერდა ფსევდონიმით "კონსტანტინ მისხალი". 1937 წლიდან იყო ნაციონალ-სოციალ-ისტური პარტიის წევრი. მეგობრობ-და III რაიხის იდეოლოგთან ალფრედ როზენბერგთან;

2. "ევროპის კონტინენტური კვ-ლევის ინსტიტუტის" დირექტორი, გამოჩენილი ფიზიკოსი და გეოპოლი-ტიკოსი, დოქტორი ალექსანდრე ნი-კურაძე (1901-1981). 1919 წელს იგი თავის ძმასთან, ცნობილ ქიმიკოსთან ივანე (იოჰან) ნიკურაძესთან ჩავიდა გერმანიაში სასწავლებლად და უკან აღარ დაბრუნებულა. მეგობრობდა ალ-ფრედ როზენბერგთან და არნო შიკე-დანცთან, რომელსაც გერმანიის ხე-ლისუფლება საქართველოს მომავალ გენერალ-გუბერნატორად ამზადებდა. ზოგჯერ წერდა ფსევდონიმით "მანდ-ერს"; 1934 წლიდან იყო ნაციონალ-სო-ციალისტური პარტიის წევრი“;

3. ყველაზე შექლებული ქართველი ემიგრანტი გერმანიაში, ექიმი გიორგი მაღალაშვილი. მისი მეუღლე მონიკა

უიტი იყო ასული უმდიდრესი გერმანელი მრეწველისა;

4. შალვა მალაქაძე, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში თბილისის გენერალ-გუბერნატორად მსახურობდა. იგი გამოირჩეოდა გერმანელთა მხარდამხარ მეზობლად ქართველ სამხედრო პირთა შორის. II მსოფლიო ომის დაწყებამდე ის დაინიშნა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო მრჩეველად (მილიტერბერატორად), ლიტვის (პოლონეთის) ნოდებით, ხოლო 1944 წლის მაისიდან მას ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის სამხედრო მესვეურებთან, მათ შორის "აბვერის" (სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა) ხელმძღვანელთან, ადმირალ ფრიდრიხ ვილჰელმ კანარისთან;

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ფრიდონ წულუკიძე, რომელიც შტანდარტენფიურერის წოდებით ხელმძღვანელობდა სამხედრო ქვედანაყოფს "ქართულ ცხენოსან შშ"-ს. ეს შენაერთი დისლოცირებული იყო ჩრდილოეთ იტალიაში.

ზემოხსენებული პიროვნებების გარდა, გერმანელთა ნდობით ასევე სარგებლობდნენ შემდეგი ქართველი ემიგრანტები: "აბვერისა" და "გესტაპოს" (საიდუმლო პოლიცია) თანამშრომელი მიხეილ კედიას; გერმანული შეიარაღებული ძალების ოფიცრები: დიმიტრი შალიკაშვილი, გივი გაბლიანი, მიხეილ ალშობაია, მიხეილ ქავთარაძე; "კავკასიის საგანგებო შტაბის" თანამშრომელი ალექსანდრე ცომაია; საქართველოს ყოფილი ელჩი გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელი; ქართული ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ წერეთელი, კიტა ჩხენკელი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ძმა), შალვა ამირეჯიბი და სხვები.

ზემოხსენებული მიხეილ კედია იყო ვაჟი მეტი კედიათა, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმს ხელმძღვანელობდა.

საინტერესოა, თუ როგორ ჩადგა მ. კედია გერმანელთა დაზვერვისა და საიდუმლო პოლიციის რიგებში.

1940 წლის შემოდგომაზე, ბერლინიდან პარიზში საგანგებოდ ჩავიდა გერმანიის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ქართული ემიგრაციის საკითხის შესწავლა. მან გააუქმა პარიზში მოქმედი ქართული წარმომადგენლობა, ხოლო ოფისის მდივანი დააპატიმრა. აუცილებელი გახდა, გამოეხატა ადამიანი, რომელიც გერმანიის ხელისუფლების წინაშე შეძლებდა ქართული ემიგრაციის ინტერესთა დაცვას. ცხადია, ის კარგად უნდა ყოფილიყო გარკვეული ვითარებაში, საფუძვლიანად სცოდნოდა გერმანული ენა და მენტალიტეტი.

ზემოთ აღნიშნული საპატიო და იმავდროულად ფრიად საპასუხისმგებლო მისია ქართულმა ემიგრაციამ დააკისრა მიხეილ კედიას. იგი დიდხანს ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი დაამთავრა. აქვე უნდა ითქვას, რომ დაკისრებული ამოცანა მან პირნათლად შეასრულა. კერძოდ, მან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ყველასთან, ვინც ამა თუ იმ კუთხით უკავშირდებოდა საქართველოს და ქართული ემიგრაციის საკითხს. მის უახლოეს მეგობართა შორის იყვნენ: გერმანიის ყოფილი ელჩი სსრკ-ში, გრაფი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი (1875-1944); როზენბერგის ხელმძღვანელობით მოქმედი აღმოსავლეთის სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გერჰარდ ფონ

მენდე; შშ-ის კავკასიური დეპარტამენტის უფროსი ერის ენგელჰაუპტი. საგულისხმოა, რომ სამივე მათგანი დაკავშირებული იყო 1944 წლის ივლისში ადოლფ ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან. აქედან პირველი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მესამე, დასჯის მიზნით, გაგზავნეს რუსეთის ფრონტზე საბრძოლველად [ცომაია 2000: 283-284].

II მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ქართული ემიგრაციის ყველაზე მტკივნეული პრობლემა იყო ტყვეთა გადარჩენა. ასევე უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა ემიგრაციაში მყოფ ან ფრონტზე ტყვედ ჩავარდნილ ქართველ ებრაელთა გადარჩენა.

საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, ნაცისტებმა ამ ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ებრაელებიც დააპატიმრეს. მათ შორის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი (1890-1952). მისი მამა — არონ ელიგულაშვილი (1856-1938) — ქუთაისელი I გილდიის ვაჭარი და ცნობილი ქველმოქმედი გახლდათ.

ი. ელიგულაშვილი ქართველ ემიგრანტთა წრეში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ის იყო დამფუძნებელი კრების წევრი. მან ორ ებრაელთან (მოშე დავარაშვილი და ილია გოლდმანი) ერთად, ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

მინისტრის მოადგილედ მოღვაწეობის პერიოდში იოსებმა თავდაუზოგავად იღვწოდა საქართველოს საგარეო საეჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისა და უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, იოსები იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ქართული ეროვნული განძეულის ევაკუაციისა საფრანგეთში, რაც 1921 წლის 17 მარტს განხორციელდა.

ამასთანავე, მისი მოხერხებულობის წყალობით, 1922 წელს საქართველოს დევნილმა მთავრობამ ხელსაყრელ ფასში შეიძინა პარიზთან ახლოს, ლევილი მდებარე მამული და ორსართულიანი სახლი (მატი). ამ უძრავმა ქონებამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ ემიგრაციას [შარაძე 1993: 115].

ემიგრაციის პერიოდში იოსები საკუთარი სახსრებით იძენდა ქართველ ემიგრანტთა წრეში გაბნეულ ხელოვნების ნიმუშებს, საეკლესიო ნივთებს, რითაც ჩვენი ეროვნული საგანძურის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სამუდამო დაკარგვისაგან იხსნა [ჩაფიძე 2010: 280].

1940 წელს, როდესაც საფრანგეთში შეჭრილ გერმანელ ოკუპანტთა შიშით, პარიზელთა ნაწილი ტოვებდა მშობლიურ ქალაქს, იოსებ ელიგულაშვილმა სოლიდური თანხა გაიღო, რათა ემოვა ავტომანქანა საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას გადასარჩენად [დაუშვილი 1999].

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ 1940 წლის 14 თებერვალს, პარიზში, საქართველოს დამფუძნებელი კრების ემიგრაციაში მყოფი დეპუტატების წინაშე, ნ. ჟორდანიამ ოფიციალურად დაგმონაცისტური გერმანიის პოლიტიკა და მხარი დაუჭირა გერმანიასთან მეზობლად დასავლეთის სახელმწიფოებს [კიკვაძე 1993].

ქართველ ემიგრანტთა ჩარევითა და მიხეილ კედიას მოხერხებულობის წყალობით, გერმანელთა პატიმრობიდან გაათავისუფლეს იოსებ ელიგულაშვილი. ამის შემდეგ, იოსები მიხეილთან ერთად იღვწოდა ქართველ ებრაელთა გამოსახსნელად.

ებრაელთა გამოხსნას ნაცისტების კლანჭებიდან, ტიტანურ ენერჯიას-

თან ერთად, უდიდესი გაბედულებაც სჭირდებოდა. ის, ვისაც ებრაელთა მფარველობაში ამხელდნენ, სასტიკად ისჯებოდა. ამის მიუხედავად, ქართველმა ემიგრანტებმა მაინც გადაადგეს ეს ნაბიჯი და საკმაოდ შედეგიანადაც [ჯავახიშვილი 2011: 42-49].

ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელებმა იოსებ ელიგულაშვილს შესთავაზეს ებრაელთა ხსნის საკუთარი გეგმა, რომელიც გამოხატებოდა შემდეგში: ებრაელთა გვარებისათვის უნდა დაერთოთ ქართული გვარებისათვის დამახასიათებელი დაბოლოება — "ვილი" და "ძე". ასე იქცნენ მაგალითად რაბინოვიჩები — რაბინაშვილებად, გუბერნიცკები — გუბერნიძეებად და ა. შ. [ჩაფიძე 2010: 279-280].

1941 წლის 10 მარტს პარიზის სამხე-



შალვა მალაქაძე

დრო კომენდანტს, დოქტორ შტენგერს გაეგზავნა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მემორანდუმი. მასში აღნიშნული იყო, რომ ქართველი ებრაელები სემიტები კი არ არიან, არამედ ქალდეველები, რომლებმაც იუდაიზმი იწამეს და კავკასიაში დამკვიდრდნენ.

საქართველოდან თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული გამოჩენილი ებრაელი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის იცხაკ დავიდის (დავითაშვილის) ვარაუდით, ეს უნდა იყოს გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის გრაფ დე ბრინონისადმი გაგზავნილი იოსებ ელიგულაშვილის მემორანდუმი, რომელიც შემდეგ გერმანიის ხელისუფლებას გადაეცა. მასში გატარებულია შემდეგი აზრი: ქართველი ებრაელები იმდენად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან, რომ არასდროს მიუტოვებიათ იგი; ქართველებს და ებრაელებს საერთო აქვთ ენა, ცხოვრების წესი, ეროვნული წესჩვეულებანი, რის გამოც ისინი არიან ქართველი პატრიოტები, ნაციონალისტები და ვერაფრით ვერ გაიზიარებენ ვერც კომუნისტთა ინტერნაციონალის და ვერც სიონისტურ მისწრაფებებს; ქართველი ებრაელობა არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული ებრაული ნიშნებით; ისტორიას არ ახსოვს თუნდაც უმცირესი ანტაგონიზმი ქართველებსა და ებრაელებს შორის.

ზემოხსენებული მემორანდუმი იოსებ ელიგულაშვილმა მეცნიერული არგუმენტებითაც შეამაგრა და აღნიშნა:

- 1) ქართველები არიან დოლიქოკეფალები (გრძელთავიანები), ებრაელები — ბრაქიკეფალები (მოკლეთავიანები). ვინაიდან ქართველი ებრაელებიც დოლიქოკეფალები არიან, ისინი ერთნაირად არიან ქართველები და არა სემიტი ებრაელები;
- 2) ქართველი ებრაელები წარ-

მოიშვნენ კავკასიაში გადასახლებულ ქალდეველთა იუდაიზაციის შედეგად;

3) თავის ქალის ფორმის გარდა, ქართველ ებრაელებს ქართველებთან აკავშირებთ: ცხვირის ინდექსი, ნიკაპის პროპორციები, საერთო ფიზიკური კონსტიტუცია [მამისთვალიშვილი 1995: 51-52].

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული არგუმენტაცია დასაბუთებულად მიჩნეეს ნაცისტმა მაღალჩინოსნებმა, რომლებსაც ამაში დაბეჯითებით არწმუნებდნენ მათი ქართველი კოლეგებიც (ძირითადად მიხეილ კედია, გიორგი მალაქაშვილი, გივი გაბლიანი).

იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ებრაელები მხოლოდ სარწმუნოებით იყვნენ ებრაელები და არა ანთროპოლოგიურად, მათ ქართველი ემიგრანტები ერთხმად მოიხსენიებდნენ "მოსეს რჯულის ქართველებად".

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ნაცისტებმა გააუქმეს ქართველ ებრაელთა დეპორტაციის განკარგულება. ამის წყალობით, 70-მდე ქართველი ებრაელი პირდაპირ სიკვდილს გამოგლიჯეს ხელიდან. ამასთანავე, მ. კედიას მიერ დამზადებული ყალბი დოკუმენტებით სიკვდილს გადაარჩინეს არაქართული წარმოშობის (პოლონელი, რუსი, ფრანგი) ებრაელებიც. ამ კამპანიის შედეგად, დაახლოებით ათასზე მეტი ქართველი და ევროპელი იხსნეს, რამაც არნახულად აამაღლა ქართველ ემიგრანტთა ავტორიტეტი და მრავალი ახალი მეგობარი შესძინა მათ [დაუშვილი 1999].

ი. ელიგულაშვილის ღვაწლს ასე აფასებდა მისი დიდი ხნის მეგობარი და თანამებრძოლი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი: „ძალიან ახალგაზრდა იოსებ ელიგულაშვილი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის (იმხანად ასე ეძახდნენ მოადგილეს. ნ. ჯ.) თანამდებობაზე იქნა მონვეული. ზოგს ეს გარემოება შიშს გვრიდა, — შეეფერება ეს ახალგაზრდა კაცი ამ დიდ თანამდებობას? მაგრამ, როცა მას საქმეზე საუბარში გაეცნობოდნენ, იგი თვით ძველ და გამოცდილ ქართველ დიდ მოხელეებსა და საჯარო კაცებს ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებდა... განსაკუთრებული განსაცდელი გადაიარა საფრანგეთის ოკუპაციის დროს, როცა ებრაელებს ებრაელობისათვის ოკუპანტები საშინელ ზომებს აყენებდნენ, ათასობით და ასი ათასობით რომ სობდნენ. მთელი ქართველი ებრაელობა ამ დროს განსვენებულ იოსებთან იყრიდა თავს და მისგან მოელოდა შეველას: მისი ცოდნის, ენერჯიის და თავდადების იმედი ჰქონდათ.

იოსებმა მოახერხა მთელი ქართული ემიგრაციის ერთსულვნად დაინტერესება ქართველი ებრაელების გადარჩენით და ამათი საკითხი საქართველოს ისტორიას დაუკავშირა. ამ საქმეში მან როგორც ქართველების, ისე უცხოელების დახმარებაც მოიპოვა და რამდენიმე ასეული ქართველი ებრაელი დიდი ენერჯიული მუშაობით სიკვდილს გადაარჩინა. ამ საქმემ დიდად ასწია მისი პრესტიჟი უცხოელი ებრაელების თვალში და საქართველოსაც ახალი სიმპათიები შესძინა მათ თვალში... იოსების მოღვაწეობის ამ ბრწყინვალე საქმეს ვერ დაივიწყებს ვერც ქართველი ემიგრანტი ებრაელობა და ვერც საქართველოს ისტორია, რადგან ამ საქმით აღსდგა უცხოეთში, უცხოელების თვალში, საქართველოს ძველი ისტორიული ტრადიცია — ყველა ერისა და ყველა სარწმუნოების პატივისცემის და დაცვის. თვითონ ასე აფასებდა ამას და ამბობდა ხოლმე: "ბევრი, ბევრი ქართველი დაგვეხმარა ჩვენ

ამ საქმეში, ამას ვერ დავივინებთ; მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის ქართველი დაგვეხმარა, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება... „მეზობელი საქართველო“ 1952: 28-29.

ყოველივე ზემოთქმულში იოსებ ელიგულაშვილს განსაკუთრებული მხარდაჭერა და თანადგომა გაუწია მიხეილ კედიამ. დიდა მისი ღვაწლი როგორც ქართველ სამხედრო ტყვეთა (სსრკ-ის არმიის ყოფილ მოსამსახურეთა), ასევე ებრაელთა გადარჩენის კეთილშობილურ საქმეში.

ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი ალექსანდრე ცომაია (1907-1956) წერდა: „მიხეილ კედიამ... გამოიჩინა ტაქტი, ინტელექტი, საღი აზროვნებისა და ადამიანის გაცნობისა და დამეგობრების შესანიშნავი უნარი. ბერლინში მან მოახერხა მჭიდრო კავშირების დამყარება ყველა იმ ადამიანთან და განყოფილებასთან, რომელიც რაიმეთი უკავშირდებოდა საქართველოს საკითხს... კედიამ ბევრის მიღწევა მოახერხა... ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებთ: ნაცისტები ყველა სოციალ-დემოკრატს თავის მტრად თვლიდნენ და მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში აპატიმრებდნენ არა მარტო ყველა კომუნისტს, არამედ ყველა სოციალ-დემოკრატსაც. და მაინც, არცერთი ქართველი სოციალ-დემოკრატი არ იქნა დაპატიმრებული. მათთვის გამონაკლისი გაკეთდა მხოლოდ კედიას ძალისხმევის წყალობით. სხვა მაგალითი: როგორ ეპყრობოდნენ ნაცისტები ებრაელებს — ყველასათვის ცნობილია. და მაინც, არცერთ ქართველ ებრაელს ისინი არ შეხებია.

მიხეილ კედიამ შეუძლებელს მიაღწია, — მან მოახერხა სპეციალური სტატუსის მოპოვება ქართველ ებრაელთათვის და ასე გადაარჩინა არა მარტო ასობით მათგანის სიცოცხლე, არამედ სხვა ებრაელებისაც, რომლებიც თავს ქართველებად აცხადებდნენ“ [ცომაია 2000: 284-285.

მ. კედიას დაეკისრა კონტროლი ქართველი ებრაელებისათვის პირადობის მონომობის გაცემაზე. ამისათვის მან შექმნა ქართველ ებრაელთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში იოსებ ელიგულაშვილი ჩაუყენა. სწორედ აღნიშნული კომიტეტისა და „ქართველი ემიგრანტების საქმეთა სამმართველოს“ თანხმობის შემთხვევაში კომიტეტის თანამშრომელი, ემიგრანტი ა. ქორქია გასცემდა დაინტერესებულ პირებზე „ეროვნების დამდასტურებელ მონომობას“. „გესტაპოსა“ და ქართველებს შორის აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სმირი შეხლა-შემოხლის მიუხედავად, ეროვნების დამდასტურებელი მონომობების გაცემა მაინც ისე ხერხდებოდა, როგორც ეს მ. კედიას და მის გუნდს სურდა. ამით მათ უამრავი ქართველი ებრაელი იხსნეს რეპრესიებისაგან.

საგულსხმოა, რომ გერმანელთა საფრანგეთიდან წასვლის შემდეგ, ქართველთა ეს თავდადება ებრაელებმა სათანადოდ დააფასეს. საფრანგეთის ებრაელობამ, მთავარი რაბინის მეთაურობით, სასამართლო პროცესზე ერთხმად დაუჭირეს მხარი მ. კედიასა და მოითხოვეს დაპატიმრებულ ა. ქორქიას გათავისუფლება. ისინი ყოველთვის ურად ფინანსურად ეხმარებოდნენ მათ ოჯახებს. ეს დახმარება არ შეწყვეტილა მ. კედიას ოჯახის შევიცარიში გადასახლების შემდეგაც [სულაძე 2010: 273].

გერმანიის ხელისუფლების ხელშეწყობით, ემიგრანტმა გრიგოლ ბერიძემ (1887-1968) პარიზში ჩამოაყალიბა ე. წ. „შემსყიდველი ბიურო“, რომელიც პრაქტიკულად ეკონომიკური დაზვერვის ფუნქციას ასრულებდა. ეს ორგანიზაცია, საოკუპაციო ხელისუფლების ნებართვით, წარმატებით საქმიანობდა ოქროს, პლატინისა და ძვირფასი

ქვების ბიზნესის თვალსაზრისით. მიღებული მოგების ნაწილი გერმანულ სპეცსამსახურებს ხმარდებოდა. მეგობრობდა მ. კედიასთან, ალექსანდრე ცომაიასთან და ევგენი გეგეჭკორთან, რომლებსაც მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. ის დაახლოებული იყო საფრანგეთის ებრაელობასთან.

1944 წლიდან გ. ბერიძე ოჯახთან ერთად გადასახლდა ჯერ შევიცარიში, ხოლო შემდეგ — ესპანეთში, სადაც 81 წლის ასაკში გარდაიცვალა [სულაძე 2010: 432-433].

II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ მიხეილ კედიამ შევიცარიში, ქალაქ შენევაში დასახლდა.

1946 წლის 3 მაისს მან ფიცის ქვეშ მისცა წერილობითი ჩვენება, რომელშიც ვკითხულობთ: „გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის განმავლობაში, მე შევძელი უამრავი ქართველი ებრაელი და სხვა ეროვნების ებრაელი მეხსნა ზოგიერთი გერმანელი ფუნქციონერის მიერ დასჯისაგან. ამის გამო, მე ვიღებდი მადლიერების წერილებს პარიზის მთავარი რაბის — ვაისისაგან, „Association Culturelle Sepharadite de Paris“-დან და „Groupement Georgien de Confession Mosaique“-ს პრეზიდენტისაგან. ტექსტები აქ არის დართული.

მე ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ამის გაკეთება შევძელი მხოლოდ სამი ჯენტლმენის შემწევობით საქართველოს კომიტეტიდან. ესენი არიან: ექიმი გიორგი მაღლოვი, მიხეილ ფონ ალშიბაია და ექიმი გივი გაბლიანი, რომლებსაც ამ საკითხზე ჩემნაირი შეხედულება ჰქონდათ და დახმარებაც გაიწიეს“ [გაბლიანი 2000: 269.

მ. კედიას ზემოხსენებულ ჩვენებას თან ახლდა სათანადო დოკუმენტები, რომლებიც მის სიმართლეს ადასტურებდა.



ბეჭდავად გამოეხარჩუნა ჩვენს თანამორწმუნეებს გერმანელი მალაჩინოსნების წინაშე. გვინდა გადმოვცეთ, რაოდენ გავიხარეთ, როცა შევიტყვეთ თქვენი მამაცური და გულითადი ქმედების შესახებ იმავე მიზნით.

გმადლობთ გულითადობისა და სამართლიანობის გრძნობისათვის, რომელიც ასე უხვად გააჩნია კეთილშობილი ქართველი ერის ტრადიციებს. თქვენ არა მარტო გაილაშქრეთ თქვენი ებრაელი ეროვნების ადამიანთა დასაცავად, რისთვისაც ჩვენც ვიბრძოდით ოთხი წლის განმავლობაში, არამედ უფრო მეტიც — თქვენ წარმატებით შეძელით გეხსნათ მრავალი მეგობარი საკონცენტრაციო ბანაკებიდან.

თავს მოვალედ მივიჩნევთ, გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ, გამოვხატოთ თქვენდამი უდიდესი მადლიერება და მორალური კმაყოფილების ღრმა გრძნობა“ [გაბლიანი 2000: 272.

„მოსეს რჯულის ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტის იოსებ ელიგულაშვილის მიერ 1944 წლის 15 აგვისტოს მ. კედიასადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „მოახლოებული განთავისუფლების ჟამს, ნება მომეცით ჩემი რელიგიის წარმომადგენლებისა და პირადად ჩემი სახ-

ქართული ლეგიონი პოლონეთში

ველოს კომიტეტიდან. ესენი არიან: ექიმი გიორგი მაღლოვი, მიხეილ ფონ ალშიბაია და ექიმი გივი გაბლიანი, რომლებსაც ამ საკითხზე ჩემნაირი შეხედულება ჰქონდათ და დახმარებაც გაიწიეს“ [გაბლიანი 2000: 269.

მ. კედიას ზემოხსენებულ ჩვენებას თან ახლდა სათანადო დოკუმენტები, რომლებიც მის სიმართლეს ადასტურებდა.

1944 წლის 16 ოქტომბერს, პარიზის მთავარი რაბის იულიუს ვაისის მიერ მიხეილ კედიასადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ბატონ ელიგულაშვილისაგან შევიტყვეთ იმ დიდი სამსახურის შესახებ, რაც თქვენ გაგიწევიათ ებრაული აღმსარებლობის თქვენი თანამემამულეებისათვის, დიდსულოვანი დახმარებით რასისტული კანონისაგან მათი გადარჩენით და მე ვუერთდები იმ მადლიერების გრძნობას, რასაც ისინი თქვენდამი განიცდიან.

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი პირადი მადლობა მათი კეთილდღეობის დაცვისათვის და მიიღეთ ჩემი დიდი პატივისცემა“ [ცომაია 2000: 286.

პარიზში მოქმედი ებრაული კულტურის ასოციაციის საპატიო პრეზიდენტის ი. მოსესერის მიერ 1944 წლის 18 ოქტომბერს მიხეილ კედიასადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ პატივს გვკონდა ღრმა მადლიერება გამოგვგზავნა მინისტრ ე. გეგეჭკორისა და მისი მეგობრებისათვის, რადგან ისინი შთამ-

ელით გამოვხატო მადლიერება და დაფასება იმისა, რაც თქვენ ჩვენთვის გააკეთეთ.

ჩვენ არ მოვტყუვდით რწმენაში, როცა თქვენში დავინახეთ ქართველი პატრიოტი, რომელიც ოკუპაციის დროს ჩვენს სიცოცხლეს და ინტერესებს დაიცავდა.

გმადლობთ თქვენი მამაცობისათვის, შეუპოვრობისათვის და ენერგიისათვის, რაც გამოიჩინეთ ანტიებრაული კანონმდებლობისაგან ებრაელების გამოსახსნელად. ამას გარდა, როცა ებრაელები შეპყრობილ იქნენ, თქვენ დაუყოვნებლივ აკეთებდით ყველაფერს მათ გასათავისუფლებლად.

თქვენს ასეთ ქცევას არ გავუკვირვებოვართ იმიტომ, რომ ვიცით თქვენი ერის ღრმადი ტრადიციების შესახებ.

თავს უფლება მივეცი და შევაცხოვინე ყოველივე ეს პარიზის უფროს რაბინს და საფრანგეთის ებრაელთა რელიგიურ კავშირს, რომლებიც გამოხატავენ თავიანთ პატივისცემას და სურთ პირადად გადაგიხადონ მადლობა.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით მთელი გულით და გვინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენი საქმეები ყოველთვის წარუშლელად დარჩება ჩვენს და ჩვენს თანამომხმე ებრაელთა მესიერებაში“ [ცომაია 2000: 288-289.

ალსანიშნავია, რომ ებრაელთა გადარჩენაში, მ. კედიას გარდა, თავიანთი წვლილი სხვა ქართველმა ემიგრანტებ-

მაც შეიტანეს.

ვერმახტის გენერალი შალვა მალაქელიძე თავის მემუარებში იხსენებს ტრაგიკულ ისტორიას გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნილი ერთი ქართველი ებრაელისა, რომელიც მას თან ახლდა 1942 წლის მიწურულს, ოსურ სოფელ ურუხთან (მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, ზემო რაჭის გადაღმა) მომხდარ ბრძოლაში.

მოგონებებში ვკითხულობთ: „ერთ დილას ატყდა სროლა. გამოვედი და რას ვხედავ — აზერბაიჯანულ ბატალიონს მოუხსნია ფორნტი — წინა ხაზზე იყვნენ და გამორბიან... ურუხის შარაზე მოაბიჯებს საბჭოთა ჯარი. წინ, ფეხით, ნაბდინი ოსები მოუძღვებიან. სასწრაფოდ მომგვარეს ცხენი. შევჯექი, ამოვიღე ხმალი და ჩამეკრივეხული გერმანული ასეული ფეხით მომყვება. პირდაპირ, ხელჩართულად უნდა დავარტყაო.

ამ შარავის მარცხნივ სასაფლაოა და როდესაც მას გაუწნორდით — გვესროლეს. მოხვდა ჩემს ცხენს და ჩაიკეცა. ვხედავ, აღვირში ხელი შეაშველა მას ბურუშმა ხეხიაშვილმა, ბათუმელმა შოფერმა, ებრაელმა, რომელიც რამდენჯერმე გათქვეს და იმის მერე აღარ მშორდებოდა. ესროლეს და ახლა ხეხიაშვილს მოხვდა. იქვე დალია სული საწყალმა და შერჩა აღვირს მისი გაცივებული ხელი“ [მალაქელიძე 1994: 183-184.

თავისი მემუარების სხვა ადგილას მ. მალაქელიძე შენიშნავდა: „გერმანული სამხედრო უწყება (აქ იგულისხმება ვერმახტი. ნ. ჯ.) სრულიად არ იყო დაინტერესებული ებრაელთა დევნაში. ე. ი. სამხედროები მაქსიმალურად არ იმჩნევდნენ ებრაელთა ყოფნას, თუ, რასაკვირველია, მათ ძალად ვინმე არ დაასმენდა და ასე ვთქვათ, პირში არ ჩათხრიდნენ. მე მახსოვს, ერთხელ, ბერლინიდან ვბრუნდებოდი მე და გაიოზი (იგულისხმება შ. მალაქელიძის ვაჟი გაიოზ მალაქელიძე. ნ. ჯ.) ჩვენი ლეგიონისაკენ და გზად ასევე მანქანით, შეგვხვდა უსეინი... გერმანული კაპიტანი, ჩემი შტაბის უფროსი. მას მანქანაში უჯდა ბორუხა სიმაშვილი და ლეგიონიდან ისევ ტყვეთა ბანაკში მიჰყავდა. ეს სიმაშვილისათვის სიკვდილის ტოლფასი იყო.

— რაში არის-მეთქი საქმე — ვკითხე უსეინს.

— რა ვქნაო, დაასმინეს და იძულებული ვარ ისევ ტყვეთა ბანაკში დავაბრუნოო.

ისე, სიმაშვილისათვის კი რამდენჯერმე მქონდა ნათქვამი, რომ „სიმაშვილი“ ნუ იძახი, — „სიამაშვილი“ თქვი-მეთქი. ახლა, უსეინს ვუთხარი, რომ გადმომეცი სიმაშვილი ჩემს პასუხისმგებლობაზე-მეთქი და უსიტყვოდ გადმომცა. ასეთი კეთილშობილება გამოიჩინა ამ გერმანელმა.

მასხოვს კიდევ... ტყვედ ნამყოფი, ვინმე პოლკოვნიკი. მითხრეს, ეს პოლკოვნიკი არ არისო. დავკითხე და გამოტყდა, რომ უბრალო ინტენდანტი იყო და რაც მთავარია, ბაქოელი ებრაელი. ატირდა საწყალი, ეგონა დავხვრეტდი. მე ვუთხარი: — ინტენდანტი იყავი და ჩვენთანაც ინტენდანტად დარჩები-მეთქი.

მესამე შემთხვევა მთლად კურიოზული იყო: გესტაპოში ექიმად შეუღწევია მოშიაშვილს, რომელიც ელბაქიდის გვარს ატარებდა. გესტაპომ გამოგვიგზავნა ის ჩვენ ექიმად. ისიც გამომიტყდა მე და დავტოვე ჩვენთან“ [მალაქელიძე 1994: 193-194.

გერმანიის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებული პოლონეთში არაერთი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობდა. მათ შორის იყო ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე (1899-1942). ვარშავისათვის ბრძოლის პერიოდში ის იმყოფებოდა ქალაქში, სადაც უფროსი დაჭრილებს, ასაფლავებდა დახოცილებს, ეხმარებოდა პოლონე-

ლებსა და ადგილობრივ ებრაელებს, რითაც მოსახლეობის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

1942 წლის 4 მაისს, ებრაელ დევნილთა მფარველობის ბრალდებით, გერმანელებმა გ. ფერაძე ვარშავაში დააპატიმრეს. იგი იმავე წლის 6 დეკემბერს, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მონამებრივი სიკვდილით აღესრულა. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ის გაზის კამერაში შევიდა საკუთარი სურვილით, თავისი თანამოსაკნის, მისი ყოფილი სტუდენტის, მრავალშვილიანი ებრაელი პატიმრის ნაცვლად და დაიღუპა [შარაძე 1993: 389-390; სულაძე 2010: 434].

საქართველოს სახალხო არტისტი, ანსამბლების "რუსთავეისა" და "მართვეს" ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი იგონებს, რომ 1991 წლის დასაწყისში, როდესაც ანსამბლმა "რუსთავემა" იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იქ გაცნობილმა წარმომართ ხარკოველმა ემიგრანტმა, რომელიც II მსოფლიო ომის პერიოდში გერმანელების ტყვეობაში იმყოფებოდა, შემდეგი ისტორია მოუთხრო: „პირველად ქართველებს მაუტკვარუნის საკონცენტრაციო ბანაკში შევხვდი და მას შემდეგ ამ ხალხს უდიდეს პატივს ვცემ. მაუტკვარუნში სამხრელ დღეში ვიყავით, გერმანელები საქმელს იმდენს გვაძლევდნენ, რომ შიმშილით არ მომკვდარიყავით. ჩვენი თან იყვნენ ქართველები, შესანიშნავი ვაჟკაცები — გიორგი და შოთა. სამწუხაროდ, მათი გვარები არ მახსოვს. როცა ძალიან გვიჭირდა, ქართულ სიმღერებს წამოიწყებდნენ და ყველას გვაძინებდნენ, რამდენჯერ თავიანთი ისედაც მცირე ულუფა გაჭირვებულისათვის გაუნაწილებიათ. ჩვენ

სულ ერთად ვიყავით. ერთ ღამეს ერთი ჩვენი ნაცნობი ებრაელი ატირდა: აი, იმ რუსმა იცის, რომ მე ებრაელი ვარ და ყოველდღე მემუქრება, თუ ჩემს წილ ულუფას არ მივცემ, გერმანელებთან დამაბუზღებს და იმნამსვე დამხვრეტენ. უკვე ორი კვირაა ლუკმა არ მიჭამია და ხვალაც უნდა წამართვას საქმელიო. ებრაელი ცხარედ ტიროდა, შიმშილისაგან ფეხები უკვე დასიებოდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ დიდი დრო აღარ დარჩენოდა. ჩვენ ავენითეთ. შოთამ და გიორგიმ უთხრეს: არ მისცე საქმელი, მაგას ჩვენ მოვუვლითო. მერე შოთა მივიდა იმ რუსთან და რაღაც ელაპარაკა.

მეორე დღეს, ებრაელი დავაპურეთ და რაც შეგვეძლო, მოვუარეთ. ნაშუადღევს გერმანელებმა ჩვენი ებრაელი ნაიყვანეს და დახვრიტეს.

იმ ღამეს, როცა ყველამ დაიძინა, გიორგიმ და შოთამ ის ახმახი რუსი გაგუდეს. დილით, როცა გერმანელებმა სამუშაოზე გაგვრეკეს და მიცვალებული ნახეს, არც უკითხავთ რისგან გარდაიცვალა, ისე აპკიდეს პატიმრებს და კრემატორიუმში წაათრიეს” [ერქომაიშვილი 1999: 86.

ამრიგად, ემიგრაციაში მყოფ ქართველთა და ებრაელთა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობდა. იგი კიდევ უფრო განმტკიცდა II მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც ორივე ერის წარმომადგენლები უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ქართველებმა და ებრაელებმა არა მხოლოდ შეინარჩუნეს, არამედ განამტკიცეს ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთთანადგომის ის საუკეთესო ტრადიციები, რომლებიც მათ თავიანთი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით ერგოთ.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გაბლიანი გივი, ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი), ტ. I, ქუთაისი, 1998.
2. გაბლიანი გივი, ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი), ტ. II, ქუთაისი, 2000.
3. დაუშვილი რუსუდან, ყველაზე მეტად ის ქართველი დაგვეხმარა, გაზეთი "თბილისი", თბ., 1999, № 105.
4. დაუშვილი რუსუდან, II მსოფლიო ომი და ქართველები, ნელინდელი "ქართული დიპლომატია", ტ. VII, თბ., 2000.
5. ერქომაიშვილი ანზორ, ხმა უცნაური, თბ., 1999.
6. კვიციანი გიორგი, თეირანის კონფერენცია, ფიქრები საქართველოს მომავალზე, წინასიტყვა და კომენტარები გიორგი გაჩეჩილაძისა, ინგლისურიდან თარგმანი დოდონა კიზირიასი, თბილისი, 1991.
7. კიკვაძე ნოდარ, ნაციონალ-სოციალიზმი და ქართველი პროფესორები, გაზეთი "დრონი", თბ., 1993, № 16-19.
8. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგნ.: "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
9. მამისთვალისხილი ელდარ, ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალიზმის ხანა), თბ., 1995.
10. მალაქაძე შალვა, მოგონებანი, წგნ.: "ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში", მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბილისი, 1994.
11. ყურნალი "მებრძოლი საქართველო", პარიზი, 1952, № 8.
12. საქართველოს პოლიტიკური

ცენტრი, ჩვენი ბრძოლის მიზანი, ბერლინი, 1943.

13. სულაძე გელა, ქართული ანტი-საბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წლები), თბ., 2010.

14. ქავთარაძე მიხეილ, ცხოვრების 100 წელი (მოგონებები, წერილები, თარგმანები, ლექსები), თბილისი, 2007.

15. შარაძე გურამ, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი II, თბ., 1993.

16. ჩაფიძე ნელი, გულბანი ხატია, საფრანგეთში განმტკიცებული ქართულ-ებრაული სულიერი ერთობა (იოსებ ელიგულაშვილის მოღვაწეობა), დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები, ტ. VI, თბილისი, 2010.

17. ცომაია ალექსანდრე, რჩეული თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ, თბილისი, 2000.

18. ჯავახიშვილი ნიკო, შალვაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდლობა), თბ., 1997.

19. ჯავახიშვილი ნიკო, თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან), თბ., 1998.

20. ჯავახიშვილი ნიკო, ქართულ-ებრაული ურთიერთობები II მსოფლიო ომის პერიოდში, ნელინდელი "ქართული დიპლომატია", ტ. IX, თბ., 2002.

21. ჯავახიშვილი ნიკო, "ქართველი შინდლერი", ყურნალი "ისტორიანი", თბ., 2011, № 3.

22. Джавахишвили Н., Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века), Тбилиси, 2005.

23. Мамулия Г., Грузинский легион в борьбе за свободу и независимость Грузии в годы Второй мировой войны, Тб., 2003.

მოზილი მთავარი რაბინის ცრემლები

იერუსალიმის საოლქო სასამართლოს მოსამართლე მომე ჰაქოენმა კიდევ უფრო გაამკაცრა ისრაელის ყოფილი მთავარი რაბინის იონა მეცვერის სასჯელი — წინასამართლო სხდომების შეთანხმებიდან გამომდინარე, მეცვერისათვის 3.5 წელიწადი უნდა მიესაჯათ, მაგრამ საბოლოო სხდომაზე მას 4.5 წელი გადაუწყვიტეს. დამსწრენი აღნიშნავენ, რომ განაჩენის გამოცხადების შემდეგ, იონა მეცვერს თვალბეჭეტი ცრემლი მოადგა.



მოგვიანებით მოსამართლემ აღნიშნა, რომ თუ არა წინასამართლო შეთანხმება, განაჩენი 7 წელი მაინც უნდა ყოფილიყო, იმდენად რამდენადაც კორუფციასა და თაღლითობაზე, რომელიც მეცვერი ბრალდებულად სცნეს, სასჯელი ექვსიდან ცხრა წლამდე მერყეობს.

ბრალდებულის ადვოკატის მეცადინეობით, მან სასამართლო დაიყოლია იმაზე, რომ მეცვერი მხოლოდ ერთ ეპიზოდში — 5 მილიონი შეკელის თაღლითურ მითვისებაში აღიარებდა ბრალს — თითქოს ეს თანხა უქონელთა დახმარებისათვის იყო გამიზნული.

მეცვერს ასევე დაეკისრა ხუთი მილიონი ჯარიმის გადახდა.

„ხამასი“ შუშირდა, თუ...

„ხამასის“ მებრძოლებმა ლაზაში ჩაატარეს წმენდა და ისლამური სახელმწიფოს 550 მომხრე დააპატიმრეს, „ხამასი“ ამტკიცებს, რომ ისრაელის ტერიტორიის ამას-წინანდელი დაბომბვები სწორედ ისლამური სახელმწიფოს მომხრეთა მიერ იქნა მოწყობილი.

ლონდონში გამოავალი არაბულენოვანი გაზეთი „ამ-შარქ ალ-აუსატი“ იუწყება, რომ ისლამური სახელმწიფოს მომხრეთა მიერ ისრაელის ტერიტორიის დაბომბვა მიზნად ისახავდა იმას, რომ ისრაელი აემხედრებინა „ხამასის“ წინააღმდეგ, და ლაზაში ჩაეტარებინა „ხამასის“ სადამსჯელო ოპერაცია, რომლის შემდეგაც ისლამური სახელმწიფოს მომხრეებს აღარ გაუჭირდებოდათ ხელისუფლების დაუფლება. ლაზაში უკვე გასამართლეს ისლამური სახელმწიფოს რამდენიმე მომხრე: 13 ადამიანს ბრალად რაკეტების „კასამი“ დამზადება და ისრაელის ტერიტორიის დაბომბვა დასდეს.

ანტისემიტური აქციები აშშ-ში

სასაფლაოს დარბაზს

აშშ-ში, სენტ-ლუისში (მისურის შტატი) უცნობმა პირებმა დაარბიეს ებრაელთა სასაფლაო, რომელიც 1893 წლიდან არსებობს. დაზიანებულია ასსამოცდაათზე მეტი საფლავი. პოლიცია დამარბეულებს დაექვს. თვალზილულია, რომ ეს არის კარგად ორგანიზებული დანაშაული, ბოროტმოქმედება არ არის ერთი პირის ჩადენილი — დარბევამ რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა. სასაფლაოს დარბევამდე რამდენიმე საათით ადრე ამერიკის, სულ ცოტა ათმა ებრაელმა სათემო ორგანიზაციამ მიიღო მუქარის შემცველი წერილი. იმუქრებოდნენ სათემო ცენტრების აფეთქებით. ბოლო ხუთი კვირის განმავლობაში ეს უკვე მეოთხე მუქარა გახლავთ.

გამნაღმველებმა შეისწავლეს ყველა ცენტრის მდგომარეობა, ბოლოში არცერთ მათგანში არ აღმოჩნდა. ამის შემდეგ სათემო ორგანიზაციებმა მუშაობა განაახლეს.

ამ ინციდენტს წინ უძღოდა მთელს აშშ-ში ანტი-სემიტისმიის გააქტიურება. ებრაული ორგანიზაციები პრეზიდენტ ტრამპს საყვედურობდნენ, რომ იგი სათანადოდ არ ებრძვის ანტისემიტისმს. ახალი წლიდან მოყოლებული, სულ რაღაც თვეწახვერის განმავლობაში აშშ 27 შტატში და კანადის ერთ პროვინციაში 67 ანტი-სემიტური აქტი დაფიქსირდა.

აშშ ვიცე-პრეზიდენტი მბრალთა სასაფლაოს ასუფთავებას



22 თებერვალს აშშ ვიცე პრეზიდენტმა მაიკ პენსმა მონაწილეობა მიიღო უცნობი პირების მიერ დარბეული სენტ-ლუისის ებრაელთა სასაფლაოს დასუფთავებაში. მისურის შტატის გუბერნატორმა ერიკ გრეიტენსმა მოხალისეებისათვის სწორედ 22 თებერვალი გამოაცხადა ებრაელთა სასაფლაოს მონაწილეობის დღედ, ამ აქციის შემდეგ აშშ ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი შეხვდა სენტ-ლუისის მცირე მენარმეებს და განაცხადა:

— ჩვენ სასტიკად ვგმობთ ამ საძაგელ ვანდალურ აქტს და ზიზღს ვუცხადებთ მათ, ვინც ეს ჩაიდინა. მაიკ პენსმა მადლობა გამოუცხადა ქალაქის მო-

სახლეობას, რომელმაც „თანადგომა და მხარდაჭერა“ აღმოუჩინა ებრაულ თემს. ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ებრაული სასაფლაოს მოვლა-მონაწილეობაში მონაწილეობა მიიღო ამ ქალაქის სხვა რელიგიების მატარებელმა მოსახლეობამ — ეს მთელი ამერიკისათვის „შთამაგონებელი მაგალითია“ ებრაელთა სასაფლაოს მონაწილეობაში მონაწილეობა მიიღო სენტ-ლუისის მუსლიმმა მოსახლეობამაც.

მუსლიმი მოსახლეობის ინიციატივა

სენტ-ლუისის ებრაელთა 123 წლის სასაფლაოს დარბევის გამო ამ ქალაქის მუსლიმი მოსახლეობის აქტივისტები გამოვიდნენ მუსლიმთა შორის ფინანსების შეგროვების ინიციატივით. თანხას სასაფლაოს აღდგენისათვის აგროვებდნენ.

„ამ კომპანიით ჩვენ გვინდა ამერიკის ებრაულ და მუსლიმ მოსახლეობას ვაუწყოთ, რომ ამერიკაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი სიძულვილის, ძალადობის ამგვარ გამოვლინებას“ — მუსლიმთა განცხადებიდან ეს ციტატა მოჰყავს ებრაულ სატელეგრაფო სააგენტოს.

ფინანსების შეგროვების ინიციატორებს გადანეტილი ჰქონდათ დაზარალებული ებრაული თემისათვის შეგროვებინათ 20 ათასი დოლარი, ეს თანხა შეგროვდა, მაგრამ შემონირულებათა ნაკადი არ შეწყდა და მალე სამოცი ათას დოლარს მიაღწია.

ფილადელფიაში

სენტ-ლუისის სასაფლაოს დარბევიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ვანდალური აქტი ფილადელფიის (პენსილვანიის შტატი) ებრაულ სასაფლაოზე განმეორდა. კვირა დილით აარონ მელინი მამის საფლავზე რომ მივიდა, საფლავის ქვები გადმოყირავებული, დამტყვეული აღმოაჩინა. პოლიციელები აცხადებენ, რომ დაზიანებულია ასობით სასაფლაო.



როჩესტერში

ჯერჯერობით უცნობმა ვანდალებმა ნიუ-იორკის შტატის ქალაქ როჩესტერის ებრაული სასაფლაო დაარბიეს — გადმოყირავებულია ხუთი საფლავის ქვა. ეს გახლდათ მესამე ვანდალური აქტი ერთი კვირის განმავლობაში.

# რა იქნება სპალ?

გურამ ბათიაშვილი

ვერ ვიტყვი და თუ მაინც წამიკვდება კალამი და დავწერ: მთელი საქართველო ამაზე ლაპარაკობს და ლელავს-მეთქი, ჭეშმარიტებას აცდები. არ არის ასე, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობაში, აქაიქ აშკარად ისადაგურებს სკეფსისი: მოქალაქეთა მცირე, მაგრამ ანგარიშგასაწევ ნაწილში, იბადება კითხვა: „მართლა არის კი ისრაელი ჩვენი მეგობარი სახელმწიფო?“ მოხშირდა ნეგატიური შეძახილები — იმდენი ნეგატივი, რამდენიც ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ისრაელზე მოვისმინე, საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ არ გამიგონია. ზოგჯერ ისიც მეჩვენება, რომ საქართველოს მოსახლეობის მართალია, მცირე, მაგრამ ერთ ნაწილში, საბჭოური პროპაგანდის ემამა გაიღვიძა. საბჭოეთის ზეობისას შეგვაჩვიეს: იდეოლოგიის ქართველი, ებრაელი, თუ სხვა ეროვნების დაქირავებული მოლაყებნი დილა-სალამოს სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ ისრაელს, ჩვენ კი ისე ვიქცევოდით, თითქოს ამ პროპაგანდის სანინალმდეგო აბები გადაგვეყლაპოს და არა მხოლოდ არაფრად ვაგდებდით მათს ლაქლაქს, დავცინოდით, ანეგლოტებსაც კი ვთხზავდით მათზე.

დღევანდელ საქართველოში კი ამდენი ნეგატივის მოსმენა, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ებრაული ურთიერთობის აუგად მოხსენიება („რომელი მოძმე ერთი, მე ვერ ვხედავ მაგათ ძმობას“ „რომელ ძმობაზე მესაუბრები?“ „რომელ 26 საუკუნეზე მესაუბრები?“), უთუოდ ახდენს დამორგუნველ ზემოქმედებას. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ ადამიანებზე, რომლებსაც ამ საკითხზე ბევრი უფიქრიათ, უწერიათ.

ჩემს თავს, ცხადია, ამათ შორის ვიგულებ და ვერ დავფარავ: დათრგუნვილობის გრძნობა თან მდევს: სატელევიზიო არხები ხშირად გადმოსცემენ სიუჟეტებს იმის თაობაზე, რომ ისრაელის მესაზღვრეებმა სახელმწიფოში შესვლის ნებართვა არ მისცეს ათობით ქართველს, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე ქართველებს ცუდად ექცევიან, ამდენი და ამდენი მომლოცველი ქვეყანაში არ შეუშვებს — უკან გამოაბრუნესო. ბევრი ნაცნობ-მეგობარი მეკითხება: „რა ხდება? რა შეიცვალა? ასე რატომ ეკიდებიან საქართველოს მოქალაქეებს?“ ისიც კი მითხრავს, თებერვლის ბოლო დღეებში თბილისი თელ-ავივის რეისის ქართველი მგზავრები ყველა — უკლებლივ უკან გამოაბრუნეს, როგორც კი საქართველოს პასპორტს დაინახავენ, უარყოფითი რეაქცია აქვთ.

მდგომარეობა აშკარად არ არის სახარბიელო. დადგა თუ არა დაფიქრების, განვლილ წლებში ჩვენი, თუ სხვათა ქმედებების გაანალიზების ჟამი? ეს დრო რომ უთუოდ დადგა, „იბერიის“ 28 თებერვლის ერთობ პროფესიულად მომზადებულმა გადაცემამაც — „კრანა“ - დაადასტურა. „იბერიამ“ საკმაოდ დიდი დრო დაუთმო ამ თემის განხილვას — შექმნილი სიტუაციის გაანალიზებას. სტუდიაში გახლდნენ გულშეძრული, შეურაცხყოფილი ადამიანები — ახალგაზრდა ქალები, ვაჟები, რომლებიც წმინდა მინაზე ჩაფრინდნენ, მაგრამ სახელმწიფოში არ შეუშვეს. ისინი წარმოსთქვამდნენ ერთობ მწვავე, არასასიამოვნო მოსასმენ მონოლოგებს, მოჰყავდათ დაუჯერებელი, თითქმის აღმამფოთებელი ფაქტები და მე მიჩნდებოდა მათდამი სოლიდარობის, თანადგომის გრძნობა.

**მცირე გადახვევა:**  
მას შემდეგ თითქმის ოცდახუთი წელი გავიდა. 1995 წელს, ივნისში, თავის სამუშაო კაბინეტში შევხვდი ისრაელის იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრს, ლევენდარულ პოლიტიკურ მოღვაწეს, ნობელიანტ იცხაკ რაბინს. გულთბილი მისალმების შემდეგ პრემიერ-მინისტრს გადავეცი ჩემი პირველი რომანი „თუ დაგივიწყო, იერუშალიმ!“ (ფსალმუნი, 137). იცხაკ რაბინმა წიგნი შეათვალა, გადაფურცლა, სათაურს, შრიფტის მოყვანილობას დააქვერდა, საჩუქრისათვის მადლობა გადამიხადა და თქვა დაუვიწყარი სიტყვები: „კარგია, სასიამოვნოა, რომ საქართველოში იწერება რომანი ასეთი სათაურით, იერუსალიმი ჩემი მშობლიური ქალაქია, იქ დავიბადე. იმედი მაქვს, გახსოვთ, რომ თქვენ უწინარესად, საქართველოს მოქალაქე ხართ და მერე — ებრაელი“

გამოხდა ხანი — რამდენიმე წელიწადი. თბილისში ჩამოვიდა ახალგაზრდა ამერიკელი ქალი — ფოტოხელოვანი. ვილაცას ნიუ-იორკშივე ურჩევია თბილისში მე მოვენახე. დამიკავშირდა. სამი-ოთხი დღე ვხვდებოდით, ვურჩევდი, სად წასულიყო, რა გადაელო და ა.შ. ამგვარი სტუმარი ბევრი ჩამოსულა, ბევრს დავხმარებოვარ, მაგრამ ამ ქალმა ორი ფრაზის გამო განსაკუთრებით დამამახსოვრა თავი: „საქართველოში მე ვერ თვინავ ადამიანი, რომელმაც ჩემი აქტის გამო თვისი საქმე არ გადასდო.“ ვგონებ, არ არის იოლი ამაზე უკეთ დაახასიათო ქართველი კაცის ბუნება, მისი ცხოვრების წესი. მეორე

**ფრაზა: „ცხადია, ებრაელი ვარ, მაგრამ უწინარესად, ამერიკელი ვარ, ამერიკის მოქალაქე და მერე — ებრაელი“.**

ქართველ ებრაელებს ამ უწინარესის შესხენება არასოდეს არ სჭიროდა, მაგრამ როცა ასეთი რამ უცხო ებრაელთაგან გვესმის, ცხადია, გვამხნევეს, ძალას გვმატებს. აქედან გამომდინარე, ის, რასაც ქვემოთ დავწერ, ქართულ კულტურაზე, დიდი ქართული მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილი ადამიანის ფიქრის ქალაღზე გადატანა და თუ ამას ვინმე ჩემი ეროვნებით ახსნის, დემაგოგიად მივიჩნევ — ეს არის სწორედ საქართველოს მოქალაქის გულისტკივილი იმის გამო, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, ცხოვრების როგორ წესს გვიმკვიდრებს დღევანდელი.

ჯერ იმ თანადგომის სურვილზე მინდა ვისაუბრო, რომელიც ხსენებული გადაცემის დაწყებისთანავე წმინდა მინიდან გამომდევებული ახალგაზრდა ქალებისა, თუ მამაკაცების მიმართ გამიჩნდა. სწორედ თანადგომის სურვილის გაჩენისა და მისი თანდათანობით გაქრობის პროცესზე: რასაკვირველია, ძალიან საწყენია, მიუღებელი, როცა ადამიანს სახელმწიფოში შესვლის უფლებას არ აძლევენ და მეც ეს გრძნობა დამეფულა. მაგრამ როცა მესაზღვრეს ჯერ უცხადებ წმინდა მინაზე მოსალაცად ჩამოვედი, მერე კი ამბობ არასამთავრობო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მეთაური ვარო და გადმოვლაგებ სხვადასხვა დოკუმენტს („ამოვიღე ერთი დოკუმენტი, ამოვიღე მეორე დოკუმენტი, ამოვიღე მესამე დოკუმენტი!“...“ამან 90-იან წლებში ჩემს მიერვე ნათქვამი ერთი რეპლიკა გამახსენა: ერთ საკმაოდ ღირსეულ დიდმხელებსთან კამათი მოქნდა. ვერაფრით ვერ ვრწმუნობდი სხვათა ნათქვამის სიმართლეს, გადმომილაგეს ცნობები, რომლებსაც მათს სიმართლეში უნდა დავერწმუნებინე: ჯერ ერთი, მერე — მეორე... იმ ღირსეულმა კაცმა, დიდმოხელემ, ღიმილით, იქნებ, ნიშნის მოგებითაც კი მკითხა: არც ახლა დაიჯერებ? არა-მეთქი, „თუ აქ დამელოდებით, ერთ საათში მოგიტანთ ცნობას, თუ რომელ სასაფლაოზე ვარ დასაფლავებული“ იმ მესაზღვრეს კი არა, მას ხომ ფსიქოლოგიის სერიოზული კურსები აქვს გავლილი, მეც, ამ საქმეში ერთობ ჩაუხედავ კაცს, შემეპარება ეჭვი მგზავრობის მიზანში და თავად გამიჩნდა კითხვა: ზედაპირულად ხომ არ ვუდგები საკითხს, დაზარალებულთა მხარეს ასე უპირობოდ რომ დავდექი-მეთქი. ისიც ერთობ დაუჯერებლად მეჩვენა, რომ ადამიანს ეგრე უბრალოდ, უმიზეზოდ ეუბნებიან: „მოკეტე და დაეგდე!“ „ჭიქაში ჩააფურთხა და მომანოდა,“ დაუჯერებლად მეჩვენება ერთი გარემოების გამო: ის გოგონები, რომლებსაც პასპორტების შემოწმება და ადამიანებთან გასაუბრება, მისი რაობის ამოცნობა ევალებათ, განა ქუჩიდან მოჰყავთ — სერიოზული კურსები აქვთ გავლილი, შეასწავლეს ადამიანის ნათქვამში, ქცევაში, გამოხედვაშიც კი,

ლაც ფანატიკოსი შენს ცხვირწინ აიფეთქებს თავს. თუ არ შეისწავლი, თუ ყველა მითითებას, განან-ესს ზედმინეებით არ დაიცავ, ვერც გადარჩები. ამას გარდა, იმ მესაზღვრემ, როგორც იქნა, იშოვა სამსახური, ადამიანს, რომლისთვისაც ეს სამსახური არსებობის ერთადერთი საშუალებაა, ჰყავს უფროსი. ეს უფროსი კი თანამშრომლთა ქცევას აკვირდება, სამსახურეობრივი მოვალეობის სწორად, წესდების მიხედვით შეუსრულებლობას არავის არ (ვერ) აპატიებს, რადგან მასაც ჰყავს უფროსი. ბენ გურიონის აეროპორტი არა ნაგებობის სიდიადის, სილამაზის, არამედ მომსახურების — მესაზღვრეთა, მეზაჟეთა, მტვირთავთა, უსაფრთხოების მეთვალყურეთა მიერ მოვალეობის პირნათლად შესრულებით გახდა ახლო აღმოსავლეთში ესოდენ გამორჩეული. აქ ყოველმა თანამშრომელმა კარგად იცის: თუ თავის უფლებას გადაამეტებს, თუ დებულების მიხედვით არ მოიქცევა, შესაძლოა, ერთ საათში სამსახურის მაძიებელთა არმია შეაგსოს. ეს არმია კი ძალიან დიდია, დგომაც რიგის ბოლოში მოუწევთ.

ყური მივუგდოთ, კარგად გავიზროთ, თუ რას ამბობს ამერიკელი ჟურნალისტი ბ-ნი სტივენ თაირი: „ქვეყანას რეპუტაცია აქვს შელახული“, „ბევრი ჩადის იქ, შინ აღარ ბრუნდება, იწყებს ქურდობას, სჩადის სხვადასხვა დანაშაულს“, „ქართველების მიმართ მერყეულია ნდობა.“ ეს ამერიკელი ჟურნალისტი ხუთი წელია საქართველოში დასახლდა, ბევრი უმოგზაურნია, ისრაელშიც ყოფილა. მისი ნაუბარი არ არის დამაჯერებელი იმისათვის, რომ ისრაელელი მესაზღვრე ძლიერ ყურადღებით უნდა იყოს? ძალუძს კი, ზერელედ მიეკიდოს მოვალეობას და ყველა, ვინც აიღო ბილეთი თბილისი-თელ-ავივი-თბილისი, „ანტრე, ბატონო, ანტრე, ბატონოს!“ ძახილით, განურჩევლად შეუშვას სახელმწიფოში? შექმნილი რეალობა მას ამის უფლებას არ აძლევს. რატომ გვაგინებდა: ამ ქვეყანაში კანონის უპირობო აღსრულება უმაღლეს დონეზეა აყვანილი — პრემიერ-მინისტრის მეუღლეს პოლიციაში იბარებენ და 8-9 საათიან დაკითხვას უწყობენ, თანაც ერაერთხელ, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი გადაცდომისთვის შვიდწლიან სასჯელს იხდის, ყოფილი პრემიერ-მინისტრი — ექვსწლიანს, ხოლო ქვეყნის მთავარი რაბინს აი, სწორედ წინა თვეში 4.5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. აგერ, ორიოდ დღის წინათ, 6 მარტს აშშ პრეზიდენტმა — ტრამპმა ისრაელის პრემიერ-მინისტრს რომ დაურეკა, ისრაელის პრემიერ-მინისტრი პოლიციაში დაკითხვავ იჯდა. პრემიერი ცალკე ოთახში გაიყვანეს და ისე ელაპარაკა აშშ პრეზიდენტს.

და როდესაც საფრანგეთის ქართველი მოქალაქე ბ-ნი ნოდარ დუგლაძე, რომელსაც მრავალი სახელმწიფოს მესაზღვრესთან ჰქონია ურთიერთობა, გვიჩვენებს: „ჩვენ უნდა ვისწავლოთ მეზაჟეს-



მიახლოებით მაინც ამოიცნონ მგზავრს რა უდევს გულში. ჩვენთვის ამის გაგება არ არის იოლი — ღვთის ნყალობით, სრულიად სხვა გარემოში გვიხდება ცხოვრება, იმათ კი სასტიკი რეალობა სხვა გზას არ უტოვებს: უნდა ისწავლონ, სხვა გზა არა აქვთ: ქვეყანაში, რომელშიც არ იცი, ავტობუსის მომლოდინეს, თუ ქუჩაში მიმავალს გაღვსილი დანას ჩაგცემენ, ტყვიას გესვრიან, თუ რომელი-

თან ურთიერთობა, ჩვენ უნდა მოვერგოთ მათ“, ჩემი თანაგრძნობის ობიექტ დაზარალებულთაგან ერთ-ერთი ქალბატონი აცხადებს: „სხვა მოგვერგოს ჩვენ, მეზაჟე მოგვერგოს, კანონმდებელიც მოგვერგოს, ყველა — აბსოლიტურად!“ მიგზვდი, რომ ქალბატონმა ჩემი მისაღამი თანაგრძნობა თვალსა და ხელსშუა გამომაცალა და იმ მეზა-

(დასასრული მე-6 გვერდზე)

# რას ვკითხვართ უღმერთო კვირებში? რაბინის კუთხე



აპარონ მდინარაძე

ს  
ე  
ვ  
ა  
ნ  
ი  
ა

სფათ ემეთი წერს, რომ ადარის თვე არის ელულის თვის პარალელური და როგორც ჩვენ ვაკეთებთ თეშუბას რომ-ჰა-შანის წინ, ასევე უნდა გავაკეთოთ თეშუბა - ადარის თვეში-ნისანის და შესაბამისად ფესახის წინ და ჰაშემი ჩვენ ამაში დაგვეხმარება.

რამდენად მნიშვნელოვანია ჰაშემის გზებზე დაბრუნება — თეშუბა — კარგად ჩანს ფურიმის ისტორიიდანაც.

ახაშვეროშის მეფობის დროს, მისმა მარჯვენა ხელმა ჰამანმა, რომელიც ყამალეკის შთამომავალი იყო, გადანყვიტა ებრაელების განადგურება, თავის „სიმართლეში“ ყველა დაარწმუნა და 13 ნისანს 3404 გამოიძახეს 127 უამთაღმწერელი, რომლებმაც შესაბამისი ოლქების ხელმძღვანელებისთვის შეადგინეს წერილი. ამ წრილში მოყვანილი გახლდათ ახაშვეროშის ბრძანება ყოველ ოლქში მთლიანად გაენადგურებინათ ებრაელობა. არცერთი აბრაელი არ უნდა დარჩენილიყო ცოცხალი: ბავშვებიდან მოხუცების ჩათვლით, მოსახლეობას უფლება ეძლეოდა ებრაელთა ქონების გაძარცვის მითვისების უფლებით, დანიშნული იყო ებრაელთა განადგურების თარიღიც — 12 ადარი 3405 (356 წელი ახალ წელთაღრიცხვამდე) წელი.

ისტორიაში ყველა რაშაყი—ბოროტი ცდილობდა ეჯობნა მისი წინამორბედისათვის-ყესავი ამბობდა კაენი სულელი იყო, რომ აბელი მამის - ადამის სიცოცხლეში მოკლაო, როგორც ვიცით, მას

მერე კიდევ შეეძინა უფრო წესიერი შვილიო. თვითონ ყესავი ფიქრობდა, იაკაკოვს მაშინ მოვკლავ, როდესაც მამა-იცხაკი გარდაიცვლებაო.

ფარაონი მიიჩნევდა, რომ ყესავი სულელი იყო, რადგან დაუშვა: მის ძმას შვილები-ბიჭები შესძენოდაო, და გამოსცა ბრძანება - ყველა ახალშობილი ვაჟი ნილოსში ჩააგდეთ, ხოლო გოგონებმა იცოცხლონო.

ჰამანი ფარაონს მიიჩნევდა სულელად: როგორ ვერ ხვდებოდა, რომ ამ გოგონებს შვილები ეყოლებოდათ და გადანყვიტა ყველა ებრაელი ერთ დღეს გაენადგურებინა—ქალიცა და კაციც, გოგონაც და ვაჟიც.

მორდეხაი სწორედ იმ პერიოდში ცხოვრობდა. იგი იყო ბინიამინის შტოს შთამომავალი და ხვდებოდა რომ ეს ყველაფერი ხდებოდა ებრაელების ცოდვების გამო, რადგან მათ ნავუხადნეცარის დროს თავყვანი სცეს კერპს და რაშაყ ახაშვეროშის ტრაპეზაზე სიამოვნება მიიღეს. მორდეხაიმ მიმართა ახაშვეროშის მეუღლეს ესთერს - და შეატყობინა თუ რა ბრძანება გამოსცა ხელმწიფემ. ესთერმა და მორდეხაიმ გადანყვიტეს ყველა ოლქში ყველა ებრაელს სამი დღე ემიმძილათ. ასეც მოხდა. ყველა ებრაელმა გამოაცხადა სამდღიანი გლოვა და შიშხილობა, ისინი ტიროდნენ, ლოცულობდნენ და თავ-თავიანთ ცოდვებს იხანებდნენ.

ესთერმა დაჰატიყა ახაშვეროში და ჰამანი თავისთან ნადიმზე, სადაც პირველად გაანდო საიდუმლო, რომ ის ებრაელია, მეფე ახაშვეროშმა კი უკვე მოაწერა ხელი ყველა ებრაელის განადგურებას. იქვე გაირკვა, რომ ჰამანი ადრე ცდილობდა ახაშვეროშის მოწამვლას და მეფემ გასაცა ბრძანება მისი ჩამოხრობის შესახებ.

16 ნისანს როდესაც ჰამანი ფიქრობდა ჩამოეხრჩო მორდეხაი, ის თვითონ ჩამოახრჩეს მორდეხაისთვის გამზადებულ სახრჩობელაზე.

ახაშვეროშმა პირველი მინისტრის ბეჭედი გადასცა მორდეხაის, მაგრამ მან უთხრა ესთერს და მორდეხაის, რომ მას არ შეუძლია თავის ბრძანების

გაუქმება, მაგრამ მისცა უფლება მისი სახელით ნებისმიერი წერილის დაწერისა ებრაელებისთვის ყველა ოლქში.

23 სივანს - 70 დღის-თეშუბის - ლოცვის და ცოდვების მონანიების შემდეგ, მორდეხაის ბრძანებით ყველა 127 ოლქში ში გაიგზავნა ახალი წერილები, სადაც ეწერა, რომ მეფე ახაშვეროში აძლევს ყველა ებრაელს უფლებას დაიცვან თავის თავი 13 ადარს და გადაარჩინონ თავიანთი ოჯახები.

13 ადარს, როდესაც დანიშნული იყო ებრაელების განადგურება, ყველაფერი მოხდა საპირისპიროდ — ისრაელებმა დაამარცხეს მტრები

მორდეხაი რომელიც ამავე დროს იყო სანჰედრინის ხელმძღვანელი - დაადგინა რომ 14 და 15 ადარი ამიერიდან იქნება დღეასანაულის დღეები, ხოლო ეს ისტორია მოვიდა ჩვენამდე „მეგილათ ესთერის“ სახელწოდებით

ფურიმის დღეასანაულში ჩვენ ვასრულებთ რამდენიმე მიცვას:

1 „მეგილათ ესთერის“ კითხვა ორჯერ-სალამოს და დილით,

2 საჩუქრები გაჭირვებულებისთვის - მინიმუმ 2 ადამიანს-ტრაპეზის თანხა ან შესაბამისი პროდუქტები,

3 ქაშერი პროდუქტისგან შემდგარი ორი გზავნილი მეგობარს,

4 ქეიფი-ვალდებული ვართ ვიმხიარულოთ და დავლიოთ ალკოჰოლური სასმელი-უფრო მეტი ვიდრე სხვა დღეასანაულებში,

იხახიან ჩვენი ხახმები, რომ ყველა თაობაში არის მცდელობა ისრაელების განადგურების, მაგრამ როდესაც დავდივართ ჰაშემის გზებით, ვასრულებთ მის მიცვებს და დავალებებს, ვერავინ ვერაფერს ვერ დაგვაკლებს.

დაე, ვიაროთ მის გზებზე და იყოს მშვიდობა ისრაელში, საქართველოში და მთელ მსოფლიოში, და მალე დადგეს ის დრო როდესაც „იქნება ჰაშემი მეფე მთელ სამყაროზე, და იმ დღეს იქნება ჰაშემი ერთი და მისი სახელი ერთი“ (ზახარია 14:9).

## ტერეზა მეიმ ისრაელს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა

დიდი ბრიტანეთის კონსერვატიულ პარტიაში ისრაელის მეგობრებმა გამართეს უზარმაზარი, ხალხმრავალი შეხვედრა. ამ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ ისრაელს სრული, აბსოლუტური მხარდაჭერა გამოუცხადა. მან თქვა, რომ უკომპრომისოდ იბრძოლებს ანტიცემიტიზმის, მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის უარყოფელთა და ისრაელის ბოიკოტის მსურველთა წინააღმდეგ.

— ბალფურის დეკლარაცია ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია — თქვა ტერეზა მეიმ — ჩვენ გვჯერა პრინციპისა ორი სახელმწიფო ორი ხალხისათვის, იმისაც გვჯერა, რომ მშვიდობა მხოლოდ წინასწარი პირობების მოთხოვნის გარეშე მოლაპარაკებების გზით მიიღწევა.

შემდეგ ტერეზა მეიმ ისრაელს აყვავებული დემოკრატიის ქვეყანა, მოთმინების შუქურა და ნოვატორობის მოტივით უწოდა. ეს არისო მთელი მსოფლიოსათვის სამაგალითო ქვეყანა. ტერეზა მეიმ უაღრესად კრიტიკულად ისაუბრა იმაზე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პალესტინის მოსახლეობისათვის განკუთვნილი ფინანსური დახმარება ტერორისტთა ოჯახებს გადაერიცხებათ.

— მე მივინდა გასაგებად განვაცხადო ბრიტანელი გადამხდელების ფინანსები ტერორისტებსა და მათი ოჯახის წევრებს აღარ მოხმარდებათ — დასძინა ტერეზა მეიმ.

## ქ. ბათ-იამი თავისი საპატიო მოქალაქის, მხატვარ რაფი მეშელის (მოშიაშვილი) იუბილუს აღნიშნავს

21 თებერვალს, ქ. ბათ-იამის აუდიტორიუმში გაიმართა ცნობილი ქართველი ებრაელი მხატვრის რაფი მეშელის (მოშიაშვილი) შემოქმედების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო და მისი ახალი ალბომის წარდგინება.

ბატონი რაფი დაიბადა და გაიზარდა საქართველოში, დაამთავრა თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. ბატონი რ. მეშელი, დღეს იგი ცნობილი ფერმწერია, რომელიც გახლავთ ისრაელ-ამერიკის ფონდის და ორგანიზაცია „კერენ კაიემეთის“ პრემიების ლაურეატი. მისი ფერწერული ტილო ისრაელის სახელმწიფოს ქნესეთის შენობაშიც არის გამოფენილი. რ. მეშელი გახლავთ ქ. ბათ-იამის საპატიო მოქალაქე და თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი.

რაფი მეშელს იუბილე და ახალი ალბომის გამოცემა მიულოცეს ქ. ბათი-ამის მერმა იოსი ბახარმა, საქართველოს ელჩმა ისრაელში პაატა კალანდაძემ, თელ-ავივის უნივერსიტეტის სახელოვნებო კათედრის ხელმძღვანელმა დალია ორიონმა, პროფესორმა მოშე დანიელმა, ჟურნალისტმა დანიელ შალელაშვილმა, კოლეგა მხატვრებმა, მწერლებმა.

მანანა ღუმბაძე

## წერილი რედაქციას

მოგესალმებით ბ- ნო გურამ, ლეგენდებით მდიდარი ალექსი მიწიდან! მივესალმები გაზეთ „მენორას“ შემოქმედებით კოლექტივს და ასევე მის მრავალრიცხოვან მკითხველს! გავცანი თქვენს გაზეთში (№2, 2017 წ.) გამოქვეყნებულ სტატიას „სანაქებო წამოწყება“, რომელიც თქვენ მიუძღვნით პროფ. შალვა წინუაშვილის მიერ გამოცემულ წიგნს, „საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია“. სტატიაში მოყვანილი შეფასებები, ქება და ასევე თქვენი შენიშვნებიც, დაინტერესოდ, მსუბუქად და თითქმის ლექსივით იკითხება. მსურს თქვენი სტატიით ნახალისებულმა, მაღლობა გადავიხადოთ, ჩემი მოხუციების გამო, ქართველ ებრაელთა ისეთ გიგანტებთან ერთად, როგორებიც არიან, გ. ბააზოვი, გ. ხუხაშვილი, ჯ. აჯაიშვილი და სხვ. მივინდა ვიყო გულწრფელი თქვენს მიმართ და გითხრა, რომ ყოველივე ეს მეამაყება, მაგრამ შინაგანი უხერხულობის გრძნობა, მაინც გამიჩინდა, რადგან ვფიქრობ, შესანიშნავ წინაპართა აჩრდილის ასეთ მოზაიკაში, ჩემი პიროვნების მოხსენიებამ, როგორც პოეტის, დისკომფორტი არ შემიქმნას მკითხველის თვალში. უბრალოდ, ბავშვობიდანვე მიზიდავდა პოეზია, განსაკუთრებით მიყვარდა ქართული პოეზია და ახლა 20 წელზე მეტი ხანია საქართველოდან წასულს და შორს მცხოვრებს, ნოსტალგიით და უქართველობით დაღლილ კაცს, სურვილი მიჩნდება ხოლმე, ვეზიარო პოეზიას, რათა ნოსტალგიამ ადგილი დაუთმოს, სულიერ სიმშვიდეს და სულიერი მზის ამოსვლას! ამიტომ ბ-ნო გურამ, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით, მკითხველამდე მიიტანოთ ეს ჩემი აზრი, რათა ჩემს ქართველ ძმებსა და დებს შორის, ზოგიერთი მეგობრის მიერ, ჩემი ლექსების ნაკითხვის დროს, ტურებზე გაცრეცილი ღიმილი, რომ არ შერჩეთ, შემეცნონ, როგორც პოეზიის მოყვარული და არა, როგორც პოეტი, რისთვისაც წინასწარ გიხდით გულწრფელ მაღლობას და ასევე ვადასტურებ, ჩემს პატივისცემას თქვენდამი. ლეხაი!!!

ქისადმი პატივისცემა გამოიჩინა, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ზედმიწევნით ასრულებს — კანონის აღმსრულებელია.

მაგრამ ეს წერილი იმისათვის არ იწერება, რომ სატელევიზიო გადაცემის მონაწილეთა მოსაზრებები გავიზიარო, ან არ მივიღო. ამ ვნებული ადამიანების მიმართ თანადგომის სურვილი მაინც შემრჩა — მათ ბევრი რამ არ იცოდნენ. ამ სულიერი ტრამვის მიზეზად არა ეს პირები, მათი არაინფორმირებულობა მიმაჩნია.

ვიცით კი, თუ როგორ ვითარებაში ცხოვრობს დღევანდელი ისრაელი? ჩვენ ხომ ლამის ყოველ მეორე-მესამე დღეს ვღებულობთ ცნობას საშინელი ტერორისტული აქტების, ტერორისტთა დაკავების თაობაზე. ისრაელს ხომ დამოუკიდებლობის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის, არსებობის საფასურს ყოველდღე ახდევინებენ, ახდევინებენ შვილების, შვილიშვილების, ძმების, დების სისხლით. ახლა ის ვიკითხოთ, როგორი ქვეყანაა დღევანდელი საქართველო? ევროპისაკენ მავალი, ევროპული ღირებულების ქვეყანაში დამწერგავი, მაგრამ ამ სახელმწიფოებრივ მიზანთან რა მიმართება აქვს მოქალაქეთა ერთ ნაწილს? ეს ფასეულობა ჩირადაც არ უღირს, მათთვის ეს ფასეულობა არც არსებობს — ისლამური სახელმწიფოსაკენ — ერაყში, სირიაში გარბიან.

განა, მხოლოდ ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას ევროპაში ქართველ კრიმინალთა თაობაზე. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ დღეს ევროპაში ბევრი ქართველი კრიმინალია. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს სამართალდამცავი ორგანოები. ისრაელს კი თავისი ქურდები, კრიმინალებიც ყოფნის — მათთვისაც ვერ მოუვლია.

ღმერთმა დამიფაროს, იმ ქართველ გოგონაზე, რომელიც ისრაელელ მომღერალთან მიემშრებოდა, აუვი რამ ვიფიქრო, თუმცა, ის კი მგონია, რომ იგი თავისივე მომხიბლაობის მსხვერპლი გახდა — მესაზღვრეს თავისი თარგი აქვს და მე მას დავეთანხმები, თუ არა, ამას მისთვის არა-რა მნიშვნელობა არა აქვს.

მაგრამ ეს ყველაფერი არა-რაა იმ ქართველი ქალბატონებისა, თუ მამაკაცების რაოდენობასთან შედარებით, დღევანდელ ისრაელში გამთენიიდან გვიან საღამომდე რომ ღვრიან ოფლს, კაპიკს კაპიკზე ადებენ, არა მხოლოდ ქანცისგანწყვეტამდე ირეგბიან, ბევრ რამეს იკლებენ, რომ აქ ოჯახებს საზრდო არ მოაკლდეთ. ოჯახის სიყვარული, ერთგულება აკეთებინებთ ამას.

ამასწინათ ერთი ქართველი კაცის ფეისბუქში

ინახავს. ეს ნიშნავს: ოცი ათასი ოჯახის შვილს აქვს ცხელი კერძი, სწავლის საშუალება.

ისრაელისათვის რას ნიშნავს? თავის მოქალაქეთაგან ოცი ათას უმუშევარს. ეს ოცი ათასი იაფი მუშახელი ქართველი იკავებს ოცი ათასი უმუშევარი ისრაელელის ადგილს. სამუშაოს მიმცემს. უჯობს დაასაქმოს იაფი მუშახელი — ქართველი, თუ სხვა არაღლეალი, ვინემ ისრაელელი. და ყველაფერი ამის გამო ჩვენ ვდგევართ ერთობ არასასიამოვნო რეალობის წინაშე — ადამიანებს, მოსახლეობის ნაწილს, ისრაელის სახელმწიფოს მიმართ უჩნდება უნდობლობა, ეს კი ძალიან ცუდია.

მიმაჩნია, რომ ამ გამწვავებულ ვითარებაში ისრაელის ელჩი ქართულ სატელევიზიო არხებზე, პრესის ფურცლებზე ლამის ყოველდღე უნდა საუბრობდეს ბენ გურიონის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე არსებულ ვითარებაზე, იმაზე, თუ რამ განაპირობა საქართველოს მოქალაქეთა მიმართ ასეთი დამოკიდებულება, ისევე, როგორც ამაზე გულახდილად, ღიად ისაუბრა ამერიკელმა ჟურნალისტმა სტივენ თაირმა. იქნებ, ვინმემ მომიგოს, საელჩოს ვებგვერდზე ყველაფერი გასაგებად წერილი. დავეთანხმები, ასეც არის, მაგრამ ის, რაც საელჩოს ვებგვერდზე, საკმარისი იქნებოდა ნორმალურ ვითარებაში. დღეს კი ექსტრემალური მდგომარეობაა — ადამიანები გამოთქვამენ ნეგატიურ დამოკიდებულებას სახელმწიფოს, ხალხის მიმართ — საქართველოს კონსული ისრაელში ბ-ნი ალექსანდრე ჯიშკარიანი კი არ უნდა იძლეოდეს, ესოდენ აუცილებელ განმარტებებს, არამედ ისრაელის ელჩი საქართველოში — ადამიანი თელ-ავივში რომ ჩაფრინდება და საქართველოს საკონსულოს დაუწყებს ძებნას, გვიანია — საქმე უკვე წამხდარია. მათ მანამდე უნდა გავაგებინოთ, თუ რა მდგომარეობაა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე, რა განსაცდელს შეიძლება გადააწყდნენ. არ არის შემთხვევითი, არც მოულოდნელია ის, რომ ზემოთხსენებული სატელევიზიო გადაცემის გვერდზე გაჩნდა მაყურებლის ასეთი მიხანერი: „ჩვეულებრივი ფაშიზმი! პასუხი უნდა აგოს ამ სახელმწიფომ ჩადენილი დანაშაულისათვის და გაილოს კომპენსაცია, როგორც თავის დროზე ფაშისტებმა მათ გადაუხადეს. რა გვიხდა ამ სახელმწიფოში, უნდა დავიფიქროთ მისი არსებობა!“

და მე მიჩნდება კითხვა: რატომ ვქმნით ისეთ სიტუაციას, რომ ადამიანებმა მსგავსი რამ თქვან, დაწერონ ისრაელზე. ვინ არის ბრალდებული იმაში, რომ საქართველოში ასეთი სტრიქონები დაიწერა, ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ამის გამო? ამაზე

სავაჭრო პალატის მესვეურის — იციკ მოშეს წინადადებას, რომელიც თებერვლის დამღევს — ბენ გურიონის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე გამწვავებული ვითარების გამო წამოაყენა, იციკ მოშე ითხოვს:

1. უვიზო რეჟიმის 100 დღით შეჩერებას,
2. სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც შეისწავლიდა არსებულ პრობლემას;
3. კვტის დაწესებას სამუშაო ვიზებზე
4. ფართომასშტაბში ახსნა-განმარტებით კამპანიას საქართველოში, თუ რას ითვალისწინებს ისრაელში უვიზოდ ჩასვლა, რა შემთხვევაში შეიძლება იქ დასაქმება და ა. შ.

ძალიან კარგი, ერთობ მისასალმებელია, ისრაელმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი რომ გააუქმა, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ერთობ მაღალ, სასურველ დონეს, მაგრამ ვინაიდან მოქალაქეებისადმი გამოცხადებული ასეთი ნდობა, არცთუ სწორად იქნა გამოყენებული, მიმაჩნია, რომ ამ საკითხზე მსჯელობა უნდა გაიმართოს და რაც მთავარია, მოსახლეობა უნდა იცოს ინფორმირებული შექმნილ სიტუაციაზე — არც ისრაელის, არც საქართველოს მოსახლეობას არა აქვს უფლება მეგობრულ სულისკვეთებას ზურგი აქციოს. ამას გარდა, განა არა სჯობს საქართველოს მოქალაქეები ისრაელში სამუშაოდ სათანადო კვტით მიემგზავრებოდნენ, ვიდრე ასეთ განსაცდელში იგდებდნენ თავს? არა ვგონებ, ქართველი კაცის შრომა ნაკლებ ღაბათიანი იყოს, ვიდრე არის უკრაინელი, თუ ბელორუსი ხელოსნისა.

მაგრამ ვერაფრით ვერ გავიზიარებ ისრაელის სახლის თანამშრომლის ბ-ნი გიორგი ბერნშტეინის იმ „პოსტის“ პათოსს, რომელიც სოციალურ ქსელში მარტის პირველსავე დღეებში გავრცელდა. ეს ადამიანი გვაფრთხილებს, ჩემთან კამათს არავის ვურჩევო, მაგრამ ამის გამო ჭეშმარიტებას გვერდს ვერ ავუქცევ. გ. ბერნშტეინი მიიჩნევს, რომ შექმნილ სიტუაციაში ბრალეულია: საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს საელჩო ისრაელში, ისრაელის საელჩო საქართველოში, ქართველი ებრაელი ლიდერები, მხოლოდ მისი მამა-მარჩენალია სვეტი-ნათელი. იციკ მოშე, მართლაც ბევრი რამ სასიკეთო გააკეთა საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობის სასიკეთოდ, ამაზე თვალის დახუჭვა სიბეცე იქნებოდა, თუმცა, ისიც სიბეცეა, როცა მხოლოდ საკუთარ თავს წარმოაჩენ და სხვათა ღვაწლს ვერ ხედავ. თუ ანალიზს აკეთებ, იგი ყოველისმომცველი უნდა იყოს და არა მხოლოდ მენი უფროსის მადიდებელი,

და როდესაც ასე არ არის, - ანალიზი ნდობას არ იმსახურებს. ნუთუ, ავტორი ვერ გრძნობს, რომ ამგვარი წინგაუხედაობით, იციკ მოშეს აყენებს უხერხულ მდგომარეობაში, ეს ყველაფერი იციკ მოშეს ვნებს, რაც არასასურველია. იციკ მოშეს ყალბი დიტირამები არ სჭრიდება (არ მაინცდებ, იმ ავბედით 90-იან წლებში, როგორ ვათენებდით ლამებს თბილისის აეროპორტში აფხაზეთის ებრაელობის ისრაელში გადასახვანად — იციკს, ლევ ბარდანს, სხვებსაც, მაშინ ცეცხლის ხაზიდან გამოჰყავდათ ებრაელები, ჩვენ კი აქ ვხვდებოდით, თბილისში).

\*\*\*

მკითხველისათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ გულისტკივილი მალაპარაკებს: ქართულ-ებრაული, საქართველო-ისრაელის ურთიერთობა მრავალი თაობის ქართველისა, თუ ებრაელის, საგულდაგულო შრომით, სიკეთის იდეისადმი სამსახურით შენდებოდა და დღეს მომხვეჭელობის სულისკვეთება საფრთხეს უქმნის მონაპოვარს.

შიშიც მალაპარაკებს — შიში ხვალისდელი დღის გამო. რა იქნება ხვალ, როცა ჩვენ ევროპის ქვეყნების მეზაჟეების წინაშე წარვსდგებით. ვაითუ, ერთ წელიწადში იქიდანაც ისევე გამოგვებრუნონ, როგორც დღეს თელ-ავივიდან გვაბრუნებენ. მართალია, ევროპა დიდია და საპასპორტო რეჟიმის დარღვევა არც ისე შესამჩნევი იქნება, როგორც პატარა ისრაელში, მაგრამ...

დღეს ბენ გურიონის აეროპორტში მივჩინივართ არასასურველ სტუმრად, თუ ჩვენშივე არ შევცვალეთ რაღაც, თუ არ ვისწავლეთ სხვათა კანონების, ცხოვრების წესისადმი პატივისცემა, ვაითუ, ხვალ იმ კურთხეულ ევროპაშიც იგივე მოხდეს!

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. მარტი



ასეთი რამ ამოვიკითხე: ბოლო წლებში ისრაელში საქართველოს 20 000 მოქალაქე ჩავიდა. ამისათვის ყოველმა მათგანმა შვიდი ათასი დოლარი გადაიხდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუშაობს რაღაც ქსელი, ეს იცის ფეისბუქის პოსტის ავტორმა და არ იცის იმან, ვინც დანაშაულებრივი ქსელი უნდა აღმოაჩინოს და გააუფლებლყოს? არ გამოვროცხავ, რომ იცის, მაგრამ არ სურს ხელი შეუშალოს მის მოქმედებას, თვალს ხუჭავს, რადგან ის ოცი ათასი ქალი, თუ კაცი საქართველოში ოცი ათას ოჯახს

იმან უნდა იფიქროს, ვისაც ეს ეხება. ჩემის მხრივ კი დავსძენ: დიპლომატია განათლებული, პროფესიულ თვისებებს დაუფლებული ადამიანების საქმეა და არა დიპლომატის სავარძელში ჯდომის მოყვარული პარტიული აქტივისტებისა. ამის კიდევ ერთი გაკვეთილი ისრაელში საქართველოს საელჩოში მოგვცა — საქართველოში ისრაელის საელჩოს ამ მიმართებით ინტენსიურად რომ ეშრომა, დღეს სრულიად სხვა რეალობის წინაშე ვიქნებოდით. ამ ფონზე არ შემძლია არ შევეხო ისრაელის

**დაგუშენებელი და გამომცემელი:**  
**გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე**  
 თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>,  
 ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

**რეგისტრირებულია**  
**ქ. თბილისის ათაფინდის**  
**რაიონის სასამართლოს**  
 მიერ.  
**რეგისტრაციის № 4/1-921**

**რედაქტორი**  
**ბურამ ბათიაშვილი**  
 ISSN 1987-8982 UAC 070 411.16  
 8-557

9771987898003